ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ირაკლი ღარიბაშვილი: „არავის მივცემ უფლებას, ჩემი სამინისტროს მუშაობაში ჩაერიოს!“

გვ.2

ორშაბათი, 22 ივლისი, 2013 №171 (6172) ფასი: 30 თეთრი

რა კავშირი აქვს 26 მაისის დარბევასთან FBI-ს

სააკაშვილის განცხადება დიდი სკანდალის მიზეზი ხდება

გვ.3

ზუგდიდსა და ბათუმში ნაციონალები დაარბიეს

გვ.3

გვ.4

ირინა სარიშვილი: „დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანა გადაწყვეტილია“

გვ.5

ზაზა დავითაია: „კონტროლიორები ხალხს სცემენ და აგინებენ“

გვ.2

ჯონდი ბაღათურია: „ხალხმა საპრეზიდენტო არჩევნებს, შეიძლება, ბოიკოტი გამოუცხადოს“

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში მიწის შესყიდვა აეკრძალათ

გვ.5

ილია II: „ოჯახები მრავალშვილიანი უნდა იყოს“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „გვახსოვს პერევი!“

გვ.6

გვ.7

დავით დარჩიაშვილი: „ჩვენ წინააღმდეგ აქციებს „ქართული ოცნება“ აწყობს“

ირაკლი კოვზანაძე EBRD-ის პრეზიდენტს შეხვდა

გვ.7



ISSN 1987-9385

2 თენგიზ კიტოვანი „ბორჯომის“ ბორჯომელებისთვის დაბრუნებას ითხოვს

4 კოტე კუბლაშვილი: „ზუგდიდში დაკავებულთა მიერ განხორციელებული დარღვევა 100-ლარიანი ჯარიმის ზღვარს არ სცილდებოდა“

2 მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს მრევლი დაუპირისპირდა

6 შსს-მ საპატრულო პოლიციის მუშაობის 6 თვის ანგარიში წარმოადგინა

ჯონდი ბაღათურია: „ხალხმა საპრეზიდენტო არჩევნებს, შეიძლება, ბოიკოტი გამოუცხადოს“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

– პატონო ჯონდი, რა შანსები აქვს ოპოზიციას საპრეზიდენტო არჩევნებზე? თქვენ პაატა ბურჭულაძის კანდიდატურის დაყენებაზე საუბრობდით, რომ სწორედ ის ყოფილიყო ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი, რაზეც უარი მიიღეთ.

– ხელისუფლების ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შერყეულია. „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის რეიტინგი 30 პროცენტს არ აღემატება, რაც ხელისუფლებისათვის, მე ვიტყოდი, კატასტროფაა. შესაბამისად ოპოზიციის ერთიან, სერიოზულ კანდიდატს აქვს მაღალი შანსი, რომ ხელისუფლების კანდიდატი დაამარცხოს და ამით ქვეყანაში პოლიტიკური ბალანსი აღადგინოს და რეალური კონკურენცია შეიქმნას.

– რამდენად მიღწევადია, რომ დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ჰყავდეს?

– სავსებით მიღწევადია.

– დამოუკიდებელი კანდიდატები უკვე დასახელდნენ?

– ვიმეორებ, მიღწევადია, თუკი ყველა ლიდერი სწორად შეაფასებს ქვეყანაში ვითარებას და საკუთარ პოლიტიკურ წონას. ასევე უნდა მოხდეს გაანგარიშება, რა შედეგს მიიღებს ცალკე და ერთიანობის შემთხვევაში.

– პაატა ბურჭულაძემ უარი გითხრათ...

– პაატა ბურჭულაძემ მე კი არ მითხრა უარი, მან უარი თქვა ამ ეტაპზე პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაზე. თუმცა, პაატა ბურჭულაძემ ასევე განაცხადა, რომ მომავალში თუკი მისი პოლიტიკაში ჩართვის საჭიროება გახდა, მზად არის, ჩაერთოს პროცესებში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. პაატა ბურჭულაძე ჩვენი ოქროს რეზერვია. დღეს სახელმწიფოსთვის არის მნიშვნელოვანი ოპოზიციის სიძლიერე და ბალანსი. ამიტომ ვამბობ, რომ ბურჭულაძე სახელმწიფოს, ქართული პოლიტიკის ოქროს ფონდია.

– რას იტყვით დასახელებულ კანდიდატებზე, მაგალითად, ბურჯანაძეზე, ზურაბიშვილზე და მათ შანსებზე?

– ყველა კანდიდატი ძალიან გამოცდილია. ანგარიშგასაწევი და პატივსაცემი, თუმცა იმისთვის, რომ ეს კანდიდატები ხელისუფლებისთვისაც რომ გახდნენ ანგარიშგასაწევი, ისინი ვალდებულნი არიან, რომ შეთანხმდნენ ერთიან ფორმატზე და ერთიან მოქმედებაზე. მე მქონდა საუბარი ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან.

– როდის?

– დაახლოებით ორი თვის წინ. მას ავუხსენი, რომ მხოლოდ ერთიან ფორმატში აქვს აზრი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ვფიქრობ, რომ ეს არჩევანი სერიოზული იქნებოდა ოპოზიციის მხრიდან. თუ ჩვენ ისევ დავიყოფით და ჩვენი საარჩევნო კამპანია დაემსგავსება იმას, რომ „მეც რაღაცა“ მინდა, ამ შემთხვევაში ხალხის თვალში ეს არ გამოჩნდება სერიოზულად და შესაბამის შედეგსაც მივიღებთ, ისეთ შედეგს, როგორიც ადრე იყო – 80 პროცენტით მოსული პრეზიდენტი, 90 პროცენტით გასული პარლამენტის წევრები.

– ახლაც მოსალოდნელია იგივე თუ მეორე ტურს ელოდებით?

– მიუხედავად მარგველაშვილის დაბალი რეიტინგისა, მეორე ტური მოსალოდნელია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის პირობებში.

– თუმცა, ეს, როგორც ჩანს, მიუღწეველია, რადგან თქვენ ამბობთ, გქონდათ ბურჯანაძესთან შეხვედრა და ვერ შედგა შეთანხმება, ბურჭულაძემ უარი თქვა...

– მე ბურჯანაძეს და ყველა ჩემს კოლეგას, ვისაც არჩევნებში მონაწილეობა და ჩვენი მხარდაჭერა აინტერესებს, ავუხსენი, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევეცდებით ხელისუფლების დამარცხებას და არა ოპოზიციის დამარცხებას. არიან კანდიდატები, რომლებიც მეორე ადგილისთვის იბრძვიან. ეს რეალურად ნიშნავს, რომ თითქოს ის ხდება მთავარი ოპოზიცია. არადა, ეს რეალურად ნიშნავს ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ძალიან არარაციონალური ნაბიჯია. არადა, შეიძლება შეთანხმება დანარჩენ ოპოზიციასთან და ოპოზიციის წინააღმდეგ კი არ იბრძოლო, არამედ ერთად ვიბრძოლოთ ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ხომ უფრო რაციონალურია.

– თუმცა, ეს ვერ მოახერხა ოპოზიციამ...

– თუ ვერ მოხერხდება, მაშინ ხალხი სწორდა და სამართლიანად შეაფასებს იმას, რომ პოლიტიკური პარტიები და ლიდერები კვლავ ვიწროპარტიული ეგოიზმის ნაჭუჭში იხარშებიან და სავსებით რეალურია, რომ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი საერთოდ არ მოვიდეს არჩევნებზე და მარგველაშვილის 29 პროცენტი 89 პროცენტი გახდება. თუ ხალხი ნახავს, რომ პოლიტიკური პარტიისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინტერესები და არა სტატუსები და თანამდებობები, მაშინ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი, რომელიც უფრო მეტია არჩევნებზე მოვა. ძალიან ადვილია დღეს წარუმატებელი ხელისუფლებისთვის მისი ოპონენტი იყოს ნაციონალური მოძრაობა.

– რას იტყვით საარჩევნო გარემოზე, თქვენ განაცხადეთ, რომ არ არის გამორიცხული არჩევნების ბოიკოტი...

– ოპოზიციურ სპექტრში საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ერთიანი აზრია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ხელისუფლებამ ჩაშალა საარჩევნო რეფორმა იმის გამო, რომ მან ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები. სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება სწორედ პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობაა. ყველა მექანიზმი გააჩნია დღეს ხელისუფლებას, რომ სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს ქვეყანაში. შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ქართველ საზოგადოებას, დიპლომატიურ კორპუსს პრემიერ-მინისტრმა უნდა გასცეს პასუხი, ატარებს თუ არა ის დემოკრატიულ არჩევნებს. მზად არის თუ არა შეასრულოს შეთანხმება. დღეს მოქმედებს ნაციონალური მოძრაობის მიერ მომზადებული დრაკონული საარჩევნო კოდექსი, რომელიც ძალიან კომფორტულია ავტორიტარული მიდრეკილებების მქონე მმართველისათვის.

ირაკლი ღარიბაშვილი: „არავის მივცემ უფლებას, ჩემი სამინისტროს მუშაობაში ჩაერიოს!“

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილს განცხადებით, „თალიბანის“ სახელით გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით გამოძიება ძალიან წარმატებით მიმდინარეობს“.

„გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს. როგორც ადრე განვაცხადე, გამოძიებაში ჩვენ აქტიურად გვეხმარება ამერიკული მხარე. ასე, რომ, მე არ ვთვლი, რომ ეს არის გაჭიანურებული. პირიქით, ძალიან წარმატებით მიმდინარეობს გამოძიება. ამ ეტაპზე მე შეგნებულად არ ვახმაურებ გამოძიების დეტალებს, ვინაიდან დასრულებამდე ჩვენ არ გვსურს, ისეთი დეტალები გავახმაუროთ, რაც ნეგატიურ გავლენას იქონიებს გამოძიების შედეგებზე. შესაბამისად, ჩვენ უნდა დაველოდოთ ყველანი ერთად. არ არის საჭირო ასეთ სენსიტიურ საქმეში, ასეთი სენსიტიური გამოძიების დროს სიჩქარე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამასთან, ღარიბაშვილი მიმდინარე გამოძიებაში სხვა სტრუქტურების ჩართულობის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„ერთი მინდა ვთქვა, რომ ჩემი სამინისტროს საქმიანობაში, მუშაობაში მე არავის მივცემ უფლებას, რომ ჩაერიოს. მე არავის საქმიანობაში არ ვერევი და ნურც ნურავინ ჩაერევა. ეს ძალიან მარტივია და ნურც ნურავინ შეეცდება რომ გამოძიებაზე რაიმე ზეწოლა განახორციელოს. ეს არის ძალიან პრინციპური საკითხი და ძალიან სენსიტიური. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ საქმეში არის ჩართული ამერიკული მხარე, ამიტომ მე მოვუწოდებ ყველას, რომ მოთმინება იქონიონ“, – აღნიშნა შს მინისტრმა.

პირველი

ნაციონალური მოძრაობის პრაიმერიში ბათუმშიც დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა

ნაციონალური მოძრაობის პრაიმერიში ბათუმშიც დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა. მეორე ადგილას ბათუმის მაჟორიტარობის ყოფილი კანდიდატი გიორგი ბარამიძე გავიდა, მესამეზე – ზურაბ ჯაფარიძე, ხოლო ყველაზე ნაკლები ხმა შოთა მალაშხიამ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის შესარჩევნი პრაიმერის მორიგი ტური დღეს ბათუმში გაიმართა. დებატების თემა განათლება, მეცნიერება და კულტურა იყო.

შეგახსენებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი ქუთაისში, გორში, თელავსა და ზუგდიდში უკვე გაიმართა. როგორც ცნობილია, ოთხივე ქალაქში ჩატარებული პრაიმერის შედეგად დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა.

მეექვსე – ბოლო კონფერენცია პრაიმერის ფარგლებში დაგეგმილია თბილისში 27 ივლისს.

პირველი

ილია II: „ოჯახები მრავალშვილიანი უნდა იყოს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ს განცხადებით, „ოჯახები მრავალშვილიანი უნდა იყოს".

ამის შესახებ პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

„ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ოჯახებს, ჩვენს შვილებს. ოჯახები უნდა იყოს მრავალშვილიანი. ჩვენ უკვე გვყავს 17 000-ზე მეტი ნათლული. ეს ის შვილებია, ის ბავშვებია, რომლებიც არ უნდა დაბადებულიყვნენ, რომელთაც ემუქრებოდა სიკვდილი და დღეს ჩვენი საამაყო შვილები არიან, – განაცხადა პატრიარქმა.

წირვის შემდეგ მისმა უწმინდესობამ სამების ტაძრის ეზოში ბავშვებისთვის სკვერი აკურთხა.

პირველი

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს მრევლი დაუპირისპირდა

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მრევლის ნაწილი მეუფე ვახტანგ ახვლედიანს უპირისპირდება. მათ გუშინ სასულიერო პირს რეზიდენციის კარი აუჭედეს და მისი ეკლესიიდან განკვეთა მოითხოვეს. მრევლი მიტროპოლიტს ეკლესიის ქონების გაფლანგვაში ადანაშაულებს.

როგორც ისინი აცხადებენ, ბრალდებების შესახებ მათ უკვე მიაწოდეს ინფორმაცია საპატრიარქოს და პირობა მიიღეს, რომ საკითხი სინოდის კრების საშემოდგომო მოწვევის სხდომაზე განიხილება.

,,ის მხილებულია მრუშობაში, ეკლესიის ქონების მითვისებაში. დაახლოებით მილიონ ლარზეა საუბარი. ასევე არის მხილებული ოთხი სასულიერო პირი, რომლებიც ზესტაფონში განაგრძობენ მრევლის დაზომბირებადაშიენბას. ისინი მხილებულნი არიან აღსარების გათქმაში. ამ ადამიანებს ეპისკოპოსი მფარველობს. ჩვენო მოთხოვნაა, მეუფე ვახტანგი არ ჩამობრძანდეს ზესტაფონში საშემოდგომო სინოდის სხდომის მოწვევამდე“, – განაცხადა აქციის მონაწილე მიხეილ შველიძემ.

საპატრიარქომ აღნიშნულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. საპატრიარქოს განცხადება მედიას ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ქორეპისკოპოსმა თეოდორე ჭუაძემ გააცნო.

მისი თქმით, საპატრიარქოსთვის ცნობილია, მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში შექმნილი დაძაბული ვითარების შესახებ.

„პატრიარქმა და ჩვენ ორივე მხარეს მოვუსმინეთ. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შეიქმნება კომისია, რომელიც ერთ კვირაში ჩავა ადგილზე, შეაგროვებს მასალებს და წარუდგენს პატრიარქს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად“, – აღნიშნა ქორეპისკოპოსმა და მოუწოდა ყველას, მრევლს, მორწმუნე ადამიანებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე და ღვთის მადლით დაელოდონ პატრიარქის გადაწყვეტლებას.

მედიანიუსი



თენგიზ კიტოვანი ,,ბორჯომის“ ბორჯომელებისთვის დაბრუნებას ითხოვს

ეროვნული გვარდიის ყოფილმა მეთაურმა თენგიზ კიტოვანმა შიდა ქართლის ვეტერანთა კავშირთან და ბორჯომის მეწარმეთა კავშირთან ერთად, ბორჯომის ცენტრში საპროტესტო აქცია გამართა.

ტელეკომპანია ,,ბორჯომის“ ინფორმაციით, ისინი ბორჯომის მინერალური წყლების, ბორჯომელებისთვის დაბრუნებას ითხოვდნენ.

,,ბორჯომის წყალზე მონოპოლიზაცია უნდა მოისპოს. არ უნდა ჰქონდეს ,,ბორჯომი“ ერთ კაცს, რომელიც მას განაგებს. ,,ბორჯომი“ უნდა იყოს ბორჯომელების. იმ შემთხვევაში თუ მდგომარეობა არ შეიცვალა ჩვენ სხვა კონკრეტულ, რადიკალურ ზომებსაც მივიღებთ“-განუცხადა ტელეკომპანია ,,ბორჯომს“ კიტოვანმა.

ჟურნალისტის კითხვაზე აპირებს თუ არა ის პოლიტიკაში დაბრუნებას, კიტოვანმა უპასუხა, რომ ის პოლიტიკიდან არც გასულა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რა კავშირი აქვს 26 მაისის დარბევასთან FBI-ს

სააკაშვილის განცხადება დიდი სკანდალის მიზეზი ხდება

შორენა მარსაგიშვილი

2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დარბევა იყო. ასეთი საშინელება თვით იგორ როდიონოვსაც კი არ ჩაუდენია. სააკაშვილის დემოკრატიულმა ხელისუფლებამ კი ალყაში მოაქცია აქციის მონაწილეები და სასტიკად გაუსწორდა მათ. დღეს ამ საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს.

ეს დარბევა დასავლეთმაც დაგმო. შეშფოთება ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც გამოხატა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სასტიკ დარბევას მწვანე შუქი აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა ჯონ ბასმა აუნთო. მან აქციის მონაწილეთა საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა. ამ განცხადებიდან მოკლე ხანში ზონდერებმა და საგანგებოდ განწვრთნილმა ჯალათებმა რუსთაველის გამზირი ნამდვილ ცოდვის კალოდ აქციეს.

ამ დარბევასთან დაკავშირებით სააკაშვილს ბევრი უცნაური განცხადება აქვს გაკეთებული. 2 დღის წინ კი მან ძალიან უცნაური განცხადება გააკეთა. ამ განცხადებას სერიოზული სკანდალი მოჰყვება. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ტყუის თუ არა სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 26 მაისის მიტინგის დაშლის ყველა ეტაპს თვალყურს ამერიკელი I ჯგუფი ადევნებდა. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა 20 ივლისს სტუდენტებთან, ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

– მინდა გითხრათ, რომ 26 მაისს აქ ამერიკელი I ჯგუფი იჯდა ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მიტინგის დაშლის ყველა ეტაპს თვალყურს ადევნებდა მონიტორებზე და ბოლოს დაწერა დასკვნა, რომ ყველაფერი იყო კანონიერი. იცოდით ამის შესახებ? არ წერენ ,,ასავალ-დასავალში“ ამის შესახებ? ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფოს გამოცდილება. ვინაიდან სახელმწიფოს გამოცდილება არ გვაქვს, ჩვენ გვგონია, პოლიცია რომ გვაჩერებს ქუჩაში, ეს არის დაყაჩაღება, გვგონია, რომ წესების დარღვევაა, გვგონია, რომ მიტინგს რომ შლიან, ეს არის ბრუტალურობა და დიქტატურა.

პატიმრები, პოლიციელები, ყველაფერი გამოყენებული იყო საბაბად მთავარი რაღაცის წინააღმდეგ – დიდი ისტორიული, ფუნდამენტური ისეთი რეფორმების წინააღმდეგ, რომელსაც აქედან 500 წელიწადში ტაშს დაუკრავენ. ამაში დარწმუნებული ვარ, თუ ვიცი ისტორია ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების. ეს არის რეალობა.

საქართველოს ისტორია გრძელდება, არ ჩერდება. გამოცდილება ისევ გროვდება და დაგროვდება – ისეთი გამოცდილება, რომელიც ყველას მიახვედრებს, სად მიდიოდა მართლაც საქართველო, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამ განცხადებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პრეზიდენტის ამ განცხადებას სახალხო კრებაც გამოეხმაურა. ის აქცია მაშინ მათი ორგანიზებით გაიმართა. 20 ივლისს პრეზიდენტის გაკეთებული განცხადება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა.

– ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის შოკისმომგვრელი იყო გუშინ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ 2011 წლის 26 მაისის სისხლიან სადამსჯელო სპეცოპერაციას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან I-ს ჯგუფი თვალყურს ადევნებდა, რასაც მოგვიანებით მოჰყვა დასკვნა იმის შესახებ, რომ 26 მაისს ხელისუფლებამ აქციის მონაწილეები კანონის ყველა დაცვით დაშალა, – ნათქვამია „სახალხო კრების“ განცხადებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო დღეს საგანგებო ბრიფინგს გამართავს. იმედია, განმარტებებს ამერიკული მხარეც გააკეთებს.

ზუგდიდსა და ბათუმში ნაციონალები დაარბიეს

ეს უქმეები ნაციონალებისთვის საკმაოდ დაძაბული გამოდგა. პრეზიდენტობის კანდიდატის გასარკვევად, ისინი მოგეხსენებათ, პრაიმერის ატარებენ. საქართველოს სამ ქალაქში, გორში, ქუთაისსა და თელავში ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, ზუგდიდში კი მონასტერი აირია. 20 ივლისს ადგილობრივებმა ნაციონალებს სირცხვილის კორიდორი მოუწყვეს, ესეც არ აკმარეს ქვები და ბოთლებიც ესროლეს. ბათუმში შედარებით მშვიდი აქცია გაიმართა ნაცმოძის საწინააღმდეგოდ. ამის მიუხედავად, ნაციონალებმა მაინც წამებულის მანტია მოისხეს და გაიძახიან, ბიძინა ივანიშვილი გვდევნის და გვარბევსო. ნაციონალების უსაფრთხოებას პოლიცია ზუგდიდშიც იცავდა, ბათუმში კი ნაცმოძის დასაცავად სულაც სპეცრაზმი გამოიძახეს. ზღვისპირა ქალაქში აქცია მანამდე დაიწყო, ვიდრე ნაცმოძელები პრაიმერის ჩასატარებლად შეიკრიბებოდნენ.

შორენა მარსაგიშვილი

მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად პოლიციამ მანამდე მიიღო ზომები, სანამ აქციონერები რამეს დააშავებდნენ. პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული მერაბ გორგაძე დააკავეს. გორგაძე ცესკო-ში საინიციატივო ჯგუფის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად არის წარდგენილი.

ზუგდიდში კი სამართალდამცავებმა ნაციონალების დაწიოკებისთვის 12 კაცი დააკავეს, რომლებიც შემდეგ 100-100-ლარიანი ჯარიმით გაათავისუფლეს. მათ დაკავებამდე განცხადება შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა.

– პოლიცია იცავდა და იცავს ნაციონალური მოძრაობის წევრებს იმისათვის, რომ არ დაეუშვათ რაიმე ექსცესები, უზრუნველვყოთ ამ ადამიანების უსაფრთხოება. სამწუხაროდ, რამდენიმე ადამიანის მხრიდან დაფიქსირდა ძალადობა კონკრეტული ადამიანების მისამართით ნაციონალური მოძრაობის წევრებს ვგულისხმობ. მე მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს ადამიანები იქნებიან დადგენილნი და დასჯილნი სამაგალითოდ. ჩვენ ვთქვით და შევპირდით მოსახლეობას, რომ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები იქნება სამაგალითო. შესაბამისად, ჩვენ ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მომხდარზე ნაციონალებმა პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ დააკისრეს. მათ გაავრცელეს კადრები, საიდანაც, მათი თქმით, ჩანს, როგორ ემზადებიან მეოცნებეები მათ დასარბევად.

მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში კი ნათლად ჩანს, რომ ზუგდიდში გამართული აქციის მონაწილეებს ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლაშა დამენია შეურაცხყოფას აყენებს. ლაშა დამენია ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის მიერ გამართული საპრეზიდენტო პრაიმერის ორგანიზატორი იყო. ნაციონალური მოძრაობის სიით ლაშა დამენია ორი მოწვევის (2004 და 2008 წლები) პარლამენტის წევრი იყო.

ზუგდიდში გამართულ აქციასთან კავშირს უარყოფს „ქართული ოცნება“. მათ 20 ივლისს საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

– ჩვენს პოლიტიკურ ძალას არანაირი კავშირი არ აქვს აღნიშნულ ფაქტთან და მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო პროცესი სამართლიან, თანასწორ და თავისუფალ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს. ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ინციდენტის შეფასებისას გაკეთებული განცხადებები საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციის მცდელობაა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ სამართალდარღვევის ყველა ფაქტი, იქნება ის აქციის მონაწილეების მხრიდან თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების შესაძლო პროვოკაცია, დროულად გამოვლინდება და გამოძიება კანონის სრული დაცვით წარიმართება, – ნათქვამია განცხადებაში.

ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ნაციონალებს წამებულის მანტია მოასხა ზუგდიდის ცენტრში, შალვა დადიანის სახელობის თეატრთან გაიმართა.

აქციის მონაწილეებმა თეატრთან მოსულებს ბოთლებით წყალი და ქვები დაუშინეს. ისინი დელეგატებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. ნაციონალების გამოჩენას ორგანიზაციების „დაიცავი საქართველოსა“ და „ქალები მშვიდობისთვის“ წევრები აპროტესტებდნენ.

– სამეგრელო ვალშია, სამეგრელომ არჩევნები წააგო. ახლა კი ჩვენ შურს ვიძიებთ ამ ნაძირლებზე. არ დავთმობთ იმ თავისუფლებას,

რომელიც მოვიპოვეთ. ყველანი პოლიტიკურ სანაგვეზე, – განაცხადა საპროტესტო აქციაზე „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა მიქაიამ.

კახა მიქაიას განცხადებით, მთელ ქვეყანას უნდა დაანახვონ, რომ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ხალხს აუპატიურებდა, სამეგრელოში არ შემოესვლება.

– ჩვენ მოვიტანეთ საიდუმლო სამალავებიდან ნარი, რაზეც ხალხს აუპატიურებდნენ. სააკაშვილების, ბაქრაძეებისა და ახალაიების ადგილი ამ ნარზეა. ჩვენ ვითხოვთ, გაწვნენ პოლიტიკურად ნარზე, – აღნიშნა მიქაიამ.

ნაციონალებმა, როგორც უკვე ვთქვით, ამ აქციის მოწყობა მეოცნებეებს დააბრალეს. დეპუტატ მიშა მაჭავარიანის აზრით, თუ ამას მთავრობა შეგნებულად აკეთებს, ძალიან ცუდია, თუ ვერ აკონტროლებს – კიდევ უფრო ცუდი.

– ვაგრძელებთ პრაიმერს, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ ძალიან დიდი პროვოკაცია მოაწყვეს და, სამწუხაროდ, ამის დაგეგმვაში „ოცნების“ აქტივისტები მონაწილეობდნენ. ამის ყველა საბუთი არსებობს და ზუგდიდში ყველამ იცის. სამწუხაროდ, მთავრობამ ვერ უზრუნველყო ის პირობები, რაზეც იყო საუბარი, რომ საარჩევნოდ იქნებოდა მშვიდი გარემო და იგივე გრძელდება ბათუმში. როგორც ჩანს, ის, რომ ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ აქტიურად ატარებს პრაიმერს და მიდის აქტიური განხილვა კანდიდატებს შორის, ამის გამო ხელისუფლება შეშფოთებულია. თუ ამას მთავრობა შეგნებულად აკეთებს, ძალიან ცუდია, თუ ამას მთავრობა ვერ აკონტროლებს, კიდევ უფრო ცუდია, – განაცხადა მიშა მაჭავარიანმა.

საპროტესტო აქციებს დეპუტატი გიორგი ვაშაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა უკან არ დაიხევს, რადგან მათ უკან მთელი საქართველო დგას.

– დღეს მართლაც ძალიან რთულია საუბარი, როდესაც ხელოვნურად მობილიზებული რაღაცა ჯგუფები დაგვახვედრეს ამ შეხვედრაზე, მაგრამ ჩვენ უკან ვერ დავიხევთ, იმიტომ რომ, უკან რომ დავიხიოთ, ჩვენ უკან მთელი საქართველო დგას და ჩვენ უკან ათასობით და ასიათასობით ადამიანია. ამიტომ უფლება არ გვაქვს, უკან დავიხიოთ, – განაცხადა ვაშაძემ.

ზუგდიდური ვენდეტა შეუფასებელი არც დავით ბაქრაძეს დაუტოვებია. მას ეს ყველაფერი გასული საუკუნის 90-იან წლებს აგონებს. ბაქრაძე ინტერესდება, აცნობიერებს თუ არა ხელისუფლება, რას ეთამაშება იმით, რომ საზოგადოების ორ ნაწილს შორის ქვების სროლის ფონზე მიმდინარეობს ურთიერთობა.

– მე მაინტერესებს, აცნობიერებს თუ არა ხელისუფლება, რას ეთამაშება იმით, რომ საზოგადოების ორ ნაწილს შორის ქვების სროლის ფონზე მიმდინარეობს ურთიერთობა. ჩვენ გვახსოვს სამეგრელოში ქვების სროლა 90-იან წლებში და გვახსოვს, ეს რით დასრულდა. ჩვენ გვახსოვს სამეგრელოში ქვების სროლა 2003 წელს და გვახსოვს, ეს რით დასრულდა. მე მჯერა, რომ ქვეყანა არ წავა არც სამოქალაქო დაპირისპირებისკენ და არც რევოლუციისკენ, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ოპოზიცია, რომლის ამოცანაა, ქვეყანაში იყოს სიმშვიდე და სიწყნარე და ის, რასაც ვხედავთ სანაცვლოდ ხელისუფლებისგან, არის ქვების სროლის ენაზე ლაპარაკი და გამგებლების მიერ მობილიზებული აქციების მოწყობა ადამიანების წინააღმდეგ, – განაცხადა ბაქრაძემ.

საინტერესოა, ასეთი აზრები შარშან რატომ არ გადმოაფრქვია ბაქრაძემ. რამდენადაც გვახსოვს, შარშან ნაციონალები არბევდნენ მეოცნებეებს. პოლიტიკაში ქვების სროლაც მათი დამკვიდრებულია. პოლიტიკური ქვის სროლის დებიუტი 2003 წლის 14 აგვისტოს შედგა. მაშინ ნაციონალები ბოლნისში ჩავიდნენ სააკაშვილის თავკაცობით და მოწინააღმდეგე პარტიას ქვები დაუშინეს. სხვათა შორის, არც შარშან კარალეთში მომხდარი ინციდენტი დავიწყებია ვინმეს. ძალადობა მიუღებელი და დასაგმობია. თუმცა, სხვას რომ უგმობ ძალადობას, ჯერ იქნებ საკუთარი ნამოქმედარიც შეაფასო.

გადარჩევის შემთხვევაში, ზაალ სამადაშვილი საქმიანობას რიგითი დეპუტატის პოსტზე გააგრძელებს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი მზადაა, გადარჩევის შემთხვევაში, საქმიანობა რიგითი დეპუტატის პოსტზე გააგრძელოს. როგორც მან ტელეკომპანია „რუსთავი 2“?-ს განუცხადა, ის ისნის მაჟორიტარი დეპუტატია და გადარჩევის შემთხვევაში რაიონის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს.

„26 ივლისის სხდომაზე დადგება თავმჯდომარის გადარჩევის საკითხი და ახალ უმრავლესობას არ უნდა გაუჭირდეს ამის გაკეთება. ამის მიუხედავად, მე საკრებულოში დავრჩები. მე ვარ ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და გავაგრძელებ საქმიანობას. შევეცდები, ისნის მოსახლეობას დავეხმარო იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც მათ აწუხებთ, „ – განაცხადა სამადაშვილმა.

მისი შეფასებით, არარეალურია გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა საკრებულოში თბილისის მერის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს.

მისი განმარტებით, თბილისის მერი არჩეულია დედაქალაქის მოქალაქეების მიერ და საკრებულოს არანაირი კანონიერი უფლება არ აქვს დააყენოს მისი იმპიჩმენტის საკითხი.

შეგახსენებთ, რომ 19 ივლისს გამართული რიგგარეშე სხდომის შემდეგ ახალი უმრავლესობის წევრებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა მათ სექტემბერში თბილისის მერის გადაყენების საკითხი დააყენონ. იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი თვითმმართველობების შესახებ კანონში ცვლილებებს შეიტანს და საკრებულოს უფლებამოსილება გაეზრდება.

მედიანიუსი

ირინა სარიშვილი: „დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანა გადაწყვეტილია“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

– ქალბატონო ირინა, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და მოდით, ჩვენც ამ თემით დავიწყოთ საუბარი, რას ელოდებით, ვის რა შანსი აქვს? ჩვენი ხელისუფლება ნაციონალებთან ერთობ კოაბიტაციურ ტკბობაში შევიდა და რა ხდება?

– პირადად ჩემთვის ახალი არაფერი. თუ ვინმესთვის ეს ახალია, ეს მათი პრობლემაა. არჩევნების დასრულების მეორე დღიდანვე გამოჩნდა კოაბიტაციის ის ნიშნები, რომელსაც კარგად შეიარაღებული თვალი მანამდეც შეამჩნევდა, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის გარემოცვიდან გამომდინარე. ვგულისხმობ მის მთავარ დასაყრდენ პოლიტიკურ ძალას – რესპუბლიკურ პარტიას, რომელსაც პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება გადაეცა ხელში. დღესდღეობით წარმოდგენილ კანდიდატურებში და ეს სია, სავარაუდოდ, სრული არ არის, ჩემი აზრით, სამი ფავორიტის გამოყოფა შეიძლება, არა მოწონებიდან, არამედ რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე. ნუმერაციით რომ მივყვეთ, ერთი გახლავთ სამთავრობო კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი, რომლის მიმართაც სერიოზული ემოცია საზოგადოებაში არ არსებობს. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ აბსოლუტურად შოკისმომგვრელი კანდიდატურა იყო დასახელებული მთავრობის მხრიდან, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურა, ის უპირველეს ფავორიტად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა ბოლო პერიოდში, იმასთან დაკავშირებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ის აპირებს პოლიტიკიდან წასვლას, ძალიან შეარყია გიორგი მარგველაშვილის ისედაც მყიფე პოზიციები. მართალია, შემდეგ ივანიშვილმა ეს განცხადებები უარყო, მაგრამ რაღაცა რყევა ამ ისედაც სუსტი კანდიდატურის მიმართ დამოკიდებულების კიდევ მოხდა.

მეორე ნომერი, საპარლამენტო ნომენკლატურას თუ მოვყვებით, ეს არის დავით ბაქრაძე, ნაციონალების კანდიდატი.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მასაც აქვს შანსები?

– დავით ბაქრაძე არის ერთ-ერთი ყველაზე უსახური ფიგურა ნაციონალებში, მიუხედავად იმისა, რომ ის პარლამენტის თავმჯდომარე იყო და მის მიმართ აგრესიის ის დოზა არ არსებობს, პიროვნულად მის მიმართ, რაც ზოგადად ნაციონალური მოძრაობის და მისი „სახელგანთქმული ლიდერების“, მათ შორის სააკაშვილის მიმართ. თუმცა ეს ზოგადი ანტიპათია და აგრესია, ვრცელდება დავით ბაქრაძეზეც. ამ თვალსაზრისით მისი შანსები თითქოს დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ ადგილობრივ მმართველობას ფლობს, სასამართლო ხელისუფლებას აკონტროლებს და ნაწილობრივ მასმედიას აკონტროლებს. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სხვა ოპოზიციური კანდიდატებისგან განსხვავებით, რომლებიც ერთმანეთს უყოფენ ხმას, დავით ბაქრაძეს სტაბილური ელექტორატი ჰყავს, იმიტომ რომ, ვინც ნაციონალებისთვის აპირებს ხმის მიცემას, იმ ხმას ვერც ერთი სხვა ოპოზიციონერი ვერ წაიღებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ განცხადებები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ კიდევ გამეორდეს, ხელწამოსაკრავი კანდიდატი

ამ ეტაპზე დავიტ ბაქრაძე არ არის. მესამე ფავორიტი, რომელიც ყველა ლოგიკით ჰყავს ამ არჩევნებს, ეს გახლავთ ნინო ბურჯანაძე, რომელიც არ არის მოსახლეობაში პოპულარული გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ ითვლება გაწონასწორებულ და გამოცდილების მქონე პოლიტიკოსად, თუმცა მისი გაწონასწორებულობის იმიჯი გარკვეული მოვლენების გამო დაირღვა.

– რას გულისხმობთ?

– მე ვგულისხმობ რამდენიმე ქუჩის აქციას, მათ შორის 26 მაისს და ეს არ მომხდარა ნაციონალური მოძრაობის „დახმარების“ გარეშე ანუ ნინო ბურჯანაძის ფიგურის მარგინალიზაცია მოხდა, რაც ძალიან არასასურველია მისი პოლიტიკური კარიერისთვის. მიუხედავად ამისა, ბურჯანაძე და მისი პოლიტიკური გარემოცვა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს, მაინც იკრებს ძალებს იმის ხარჯზე, რომ ისინი შეურიგებლები არიან ნაციონალურ მოძრაობასთან და ისინი აბსოლუტურად უარყოფენ ყოფილ ხელისუფლებასთან რაიმე ტიპის თანამშრომლობას. იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აზრი საკმაოდ შეიცვალა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, რადგან დღევანდელი ხელისუფლება ძალიან თბილ გრძნობებს ავლენს ყოფილი ხელისუფლების მიმართ. იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელსაც არც ყოფილი ხელისუფლება მოსწონს და არც ამჟამინდელი საგრძნობლად გაიზარდა და წესით ამ სიტუაციას უპირატესობა უნდა მიენიჭებინა ნინო ბურჯანაძისთვის, მაგრამ ბურჯანაძე იზოლირებულია მთელი დანარჩენი ოპოზიციური სპექტრისგან. ახლა ეს კიდევ სხვა საუბრის თემაა. აქ მისი პოლიტიკური შეხედულებებიც მოქმედებს და მისი და დანარჩენი პოლიტიკური სპექტრის პიროვნული თვისებებიც. თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, როგორი სამწუხარო და საოცარიც არ უნდა იყოს, თუ ოპოზიციური სპექტრი გააგრძელებს კანდიდატების დასახელებას და არათუ გააგრძელებს, პირიქით, არ მოხსნის თავის დასახელებულ კანდიდატურებს, მაშინ არჩევნების პერიოდში ჩვენ შეიძლება მივიღოთ ძალიან არასასურველი სურათი.

– როგორი იქნება ეს სურათი?

– მარგველაშვილი შერყეული პოზიციებით, რადგან არავინ იცის, ივანიშვილი ამ განცხადებებს შეგნებით აკეთებს თუ შეცდომას უშვებს. მარგველაშვილისთვის პოზიციების შემრყევი განცხადებები შესაძლებელია ემსახურებოდეს მისი რომელიმე კონკურენტის წარმატებას საპრეზიდენტო არჩევნებში.

– თქვენ მაინც ვისზე ეჭვობთ?

– მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ. ბურჯანაძის შანსები ძალიან გაიზრდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას ექნებოდა შეთანხმება პოლიტიკურ სპექტრთან. იქიდან გამომდინარე, რომ შეთანხმება პოლიტიკურ სპექტრთან არ არსებობს და ოპოზიციური კანდიდატები, გარდა ნაციონალებისა, ერთმანეთს უყოფენ ხმას, მათ შორის იგივე შალვა ნათელაშვილი, მე ახლა წვრილფეხობაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ იმ წვრილფეხობის რამდენიმე ასეული ხმაც რაღაცას ნიშნავს, როცა ასეთი დაძაბული სიტუაციაა. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ სტაბილური ელექტორატი ყველა შემთხვევაში რჩება ერთადერთ კანდიდატს ანუ მის ელექტორატზე არც ივანიშვილის და არც არავისი განცხადებები არ მოქმედებს. ეს არის ნაციონალების კანდიდატი.

– თქვენი პროგნოზიდან გამომდინარე, შესაძლოა, ბაქრაძე ვიხილოთ პრეზიდენტად?

– არ ვიცი, მე ვსაუბრობ ყველაზე უარესზე, თუ რა შეიძლება იყოს ცუდ შემთხვევაში, თუმცა ეს არის ლოგიკური. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ მოსახლეობაც უნდა დაფიქრდეს და პოლიტიკური პარტიებიც. ერთი რამ ფაქტია, ეს ყველაფერი უნდა შეჯერდეს, მოსწონს ვინმეს ვინმე თუ არა, ეს სხვა თემაა. ყველა შემთხვევაში მოსახლეობამ ცივი გონებით უნდა გააკეთოს ამ მოცემულობიდან გამომდინარე დასკვნა სათავისოდ: წავიდეს არჩევნებზე თუ არ წავიდეს, მისცეს ვინმეს ხმა თუ არ მისცეს. ეს არის ძალიან რთული თემა და, მე ვფიქრობ, სექტემბრის შუა რიცხვებისთვის უფრო მკვეთრი პროგნოზის გაკეთება იქნება შესაძლებელი.

– ქალბატონო ირინა, ამომრჩევლის პასიურობის შემთხვევაში, ეს ვის წისქვილზე დაასხამს წყალს – ხელისუფლების?

– გააჩნია ბიძინა ივანიშვილის შემდგომ განცხადებებს, იმიტომ რომ მე არ გამოვრიცხავ, ის წასვლას მართლა აპირებდეს, მაგრამ ასეთი განცხადების გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა. უნდოდა მას თუ არ უნდოდა, ამ განცხადებამ თავისი როლი უკვე შეასრულა. ახლა გაიზრდება კიდევ ეს როლი თუ არ გაიზრდება, ეს უკვე დამოკიდებულია შემდგომ დღეებზე.

– ქალბატონო ირინა, რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას და მათ მოთხოვნებს, ისინი დაფინანსების გარეშე რჩებიან და ხელისუფლებისგან დაფინანსებას მოითხოვენ...

– ეს მოთხოვნები, რასაკვირველია, კანონიდან გამომდინარეა. თუ ჩვენ ამ კანონპროექტში შესატან ცვლილებებს განვიხილავთ, დამნაშავე პარტიას, ცოცხების პარტიას და ასე შემდეგ, ოთხჯერ მეტი დაფინანსება ექნებათ ბიუჯეტიდან. აქ, მე მგონი, საერთოდ ყველა კომენტარი ზედმეტია, იმასაც კი აღარა აქვს მნიშვნელობა, ვინ რჩება დაფინანსების გარეშე და ვინ არა. აქ არის პრინციპზე საუბარი, რომ ხელისუფლებამ, იგივე ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც სახელგანთქმული პოლიტიკური ფიგურა გახდა, გარდა ქველმოქმედებისა, იმითაც, რომ დაამარცხა ეს მონსტრი, უცებ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა ამ მონსტრს ოთხჯერ მეტ საბიუჯეტო დაფინანსების გარანტიას აძლევს.

– ეს რამდენად ნორმალურია, მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ რეჟიმზე?

– ხომ გეუბნებით, ეს არის ე.წ. რუბრიკა-კომენტარის გარეშე. აქ ვერანაირი სიტყვა ვერ გამოხატავს ამ ფაქტის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და იმ ცინიზმს ვერ შეაფასებს, რა ცინიზმიც ამ შემთხვევაში უკვე დღევანდელი ხელისუფლების მოქმედებაში დევს. ამდენი გაჭირვებული ადამიანის ჯიბის ხარჯზე იზრდება დამნაშავე ხელისუფლების საბიუჯეტო დაფინანსება, ისე, რომ ყველა დანარჩენი რჩება დაფინანსების გარეშე. ამ შემთხვევაში მეოცნებეებს არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა.

– ასეთი თბილი ურთიერთობები და კოაბიტაცია ნაციონალებთან დასავლეთის ზეწოლის გამო ხდებაო, თავს იმართლებენ ოცნების წარმომადგენლები...

– ამ ლოგიკით მაშინ ყველაფრის გამართლება შეიძლება. მაშინ თუ ამ ლოგიკას მივყვებით, დავუშვათ ერთსქესიანთა ქორწინებები, ეს კიდევ უფრო მოეწონება დასავლეთს, წავშალოთ რელიგიური საზღვრები, წავშალოთ ყველაფერი, რაც ჩვენთვის ღირებულია და უფრო სახელგანთქმულები ვიქნებით დასავლეთისთვის. არც ის დაგვავიწყდეს, რომ მისაღებიც რომ იყოს ვინმესთვის, ჯერ რატომ არის მისაღები, ეს კიდევ სხვა თემაა, მაგრამ, ვინმეს ძალიანაც რომ უნდოდეს ნატოში საქართველოს გაწევრიანება, მგონი, ძალით უნდა იბრძავებდეს ადამიანი თვალს, რომ ეს არის შეუძლებელი. ეს საკითხი დღის წესრიგშიც კი არ დგას და საუბარია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს, როგორც თავისი გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, ტერიტორიის დროებით გამოყენებაზე სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით ნატოსა და შეერთებული შტატების მხრიდან. ეს იმდენად აშკარად ხდება, რომ ამის არდანახვა შეუძლებელია. დასავლეთის ზეწოლაო და ეს ზეწოლა მარტო ჩვენს ქვეყანაში ხომ არ იყო?! ასე ფატალურად თუ შევხედავთ მოვლენებს, მაშინ საერთოდ არაფერს აზრი არა აქვს და ყველამ ქუდი უნდა დავიხუროთ და არაფერი არ უნდა ვაკეთოთ. ზეწოლები სხვადასხვა კუთხიდან არსებობს, მაგრამ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს ზეწოლები დავაბალანსოთ და, საბოლოო ჯამში, გამოვიყვანოთ ჩვენი ქვეყნისთვის ბევრად უფრო მისაღები პირობები.

– ქალბატონო ირინა, რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ამბობენ, რომ დღითიდღე ეცემა ოცნების რეიტინგი და ეს საკითხი აქტიურ ფაზაში ძალიან მალე შევა...

– ჩემი აზრით, ეს დამოკიდებული იქნება საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე. საერთოდ, ამ ხელისუფლებას რომ ქვეყნისთვის კარგი უნდოდეს და მე ვგულისხმობ იმავე რესპუბლიკურ პარტიას და ამ სურვილს რესპუბლიკური პარტიისგან ისევე გამოვრიცხავ, როგორც ნაციონალური მოძრაობისგან, საპარლამენტო არჩევნები ან დაასწრებდა და ან საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდებოდა პარალელურ რეჟიმში, თუმცა ეს სურვილი არ არსებობს, არსებობს სხვა სურვილი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩვენ მივიღოთ ახალი, რესპუბლიკურ-ნაციონალური უმრავლესობა. თუ გახსოვთ, მე ეს განცხადება თქვენი გაზეთის საშუალებით თავიდანვე გავაკეთე. დღეს ყველაფერი მიდის აქეთკენ. ისინი აღარც კი მალავენ, რომ ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა ურჩევნიათ იმავე ბურჯანაძის გასვლას. იმისათვის, რომ კარგად გაამართლონ შემდეგ რესპუბლიკურ-ნაციონალური კოაბიტაცია და პოლიტიკური ალიანსი, შეიძლება, მარგველაშვილის გასვლას დავით ბაქრაძის გასვლა ერჩივნოთ.

კოტე კუბლაშვილი: „ზუგდიდში დაკავებულთა მიერ განხორციელებული დარღვევა 100-ლარიანი ჯარიმის ზღვარს არ სცილდებოდა“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, გუშინწინ ზუგდიდში დაკავებულთა მიერ განხორციელებული დარღვევა 100-ლარიანი ჯარიმის ზღვარს არ სცილდებოდა.

„ამ საქმის გარემოებები და დეტალები ჩემთვის უცნობია. რაც ვიცი არის ის, რომ სანქცია, რაც კანონით არის გათვალისწინებული ასეთი დარღვევების დროს, ის გამოიყენა მოსამართლემ და თავად პოლიციის მხრიდანაც იყო სწორედ ამაზე საუბარი და მოთხოვნა, რომ ისეთი დარღვევა იყო, რომელიც არ სცილდებოდა 100-ლარიანი ჯარიმის ზღვარს და ეს იყო პოლიციის მხრიდანაც დადასტურებული“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერის მიმდინარეობისას დაკავებული საპროტესტო აქციის 12 მონაწილე, რომელიც წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დაიკავეს, სასამართლომ 100-ლარიანი ადმინისტრაციული სასჯელის სანაცვლოდ გაათავისუფლა.

პირველი

გიორგი ვაშაძე: „ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში აუცილებლად დაბრუნდება“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ვაშაძის აზრით, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში აუცილებლად დაბრუნდება.

ამის შესახებ ვაშაძემ ბათუმში, ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის შესარჩევ პრაიმერში დავით ბაქრაძის წარდგენისას განაცხადა.

„დათო ბაქრაძე არის ადამიანი, ვინც იცის მოსმენა. როგორი პრეზიდენტი სჭირდება საქართველოს? ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც არა დააპირისპირებს ადამიანებს, არამედ შეარიგებს. როცა ის იყო პარლამენტის თავმჯდომარე, ოპოზიციისთვის იყო ის პიროვნება, რომლის მეშვეობითაც ბევრი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. დღეს ლიდერებოს ჩვენს უმცირესობას და ჩვენი სახელით ელაპარაკება ხელისუფლებას. დათო იქნება გარანტი იმის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გააგრძელებს დემოკრატიულ პროცესს, გახსნილ პროცესს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საბოლოო ჯამში, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით ხელისუფლებაში და დაწყებულ საქმეებს დავამთავრებთ“, – განაცხადა ვაშაძემ.

პირველი

ალექსანდრე დუგინი: „სააკაშვილმა ფსონი აშშ-ზე გააკეთა და საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა“

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერ ალექსანდრე დუგინის განცხადებით, აშშ რეგიონში პოლიტიკას სულაც არ განსაზღვრავს. ამის შესახებ დუგინმა „ვესტი.აზ“-ისთან ინტერვიუში განაცხადა.

„ჩვენ ვხედავთ, როგორ ჩავარდა ყველგან პროამერიკული პოლიტიკა: ეგვიპტისა და თურქეთის მოვლენები აჩვენებს, რომ აშშ და მისი მოკავშირეები – საუდის არაბეთი და ყატარი, პოლიტიკური პროცესების ორგანიზებას საერთოდ ვერ ართმევენ თავს. ამავდროულად, რაც უფრო დიდხანს რჩება სირიის პრეზიდენტად ბაშარ ასადი, მით უფრო მეტად ვარდება ამერიკის როლი რეგიონში და სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ აშშ-ის დახმარებას მხოლოდ დაშლამდე მივყავართ. აი, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფსონი აშშ-ზე გააკეთა და საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე ფსონი აშშ-ზე გააკეთა და სახალხო მღელვარება მიიღო. ეგვიპტის პრეზიდენტმა მურსიმ ასევე აშშ-ზე გააკეთა ფსონი და ასადის წინააღმდეგ გამოვიდა, შედეგად კი იგი გადააყენეს. ამიტომ სრულიად, გასაგებია, რომ აშშ რეგიონში პოლიტიკას სულაც არ განსაზღვრავს“, – განაცხადა დუგინმა.

მისივე თქმით, თუ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს სურს, „ბედკრული პროამერიკული რეჟიმების გზით წავიდეს, სააკაშვილის, მურსის და ერდოღანის მსგავსად, მაშინ ეს მოსკოვს არ აწყობს“.

„სხვათაშორის, იგივე შეიძლება, ითქვას სომხებზეც: თუ ერევანს დასავლეთთან ლაქუცი სურს, მაშინ ჩვენ სხვანაირად საუბარიც შეგვიძლია“, – აღნიშნა მან.

პირველი

ზაზა დავითაია: „კონტროლიორები ხალხს სცემენ და აგინებენ“

მოუწყვეს თუ არა ჟურნალისტს პროვოკაცია

შორენა მარსაგიშვილი

„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას ამ დღეებში მუნიციპალურ ტრანსპორტში პროვოკაცია მოუწყვეს. 20 ივლისს, 13 საათსა და 47 წუთზე, იგი მგზავრობდა ყვითელი 150 ნომერი ავტობუსით და მიდიოდა „ასავალ-დასავალის“ რედაქციაში. ავტობუსის კონტროლიორმა მას ბილეთი მოსთხოვა. ზაზა დავითაიამ კონტროლიორს ბილეთი წარადგინა. ამან რატომღაც კონტროლიორი გააღიზიანა. კონტროლიორმა დავითაიას ერთი გაჩერებით ადრე ჩამოსვლა მოსთხოვა, დაუწყო გინება და ცემა.

დავითაიამ იქ მყოფ ხალხს პატრულის გამოძახება სთხოვა. თავად კონტროლიორს „ბირკა“ ჩამოგლიჯა და მერიის შენობაში შევარდა. მჟავანაძე მას გაეკიდა და მერიის ფოიეშიც დაუწყო ცემა. მერიის დაცვის თანამშრომლებმა არაფერი გააკეთეს ინციდენტის აღსაკვეთად. ახლა საქმე ზაზა დავითაიას წინააღმდეგ არის აღძრული. ჟურნალისტს იმედი აქვს, რომ თავის სიმართლეს დაამტკიცებს.

რა მოხდა ავტობუსში და მერიაში, არის თუ არა ეს წინასწარ მოფიქრებული პროვოკაცია და რატომ უხეშობენ ასე ძალიან კონტროლიორები, ამ თემებზე ზაზა დავითაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ზაზა დავითაია:

– ავტობუსის კონტროლიორები თავიანთ უფლებამოსილებას აჭარბებენ და მოქალაქეებს ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას. ავტობუსებით მგზავრობენ ძირითადად ის ადამიანები, რომლებიც მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან. ზოგიერთი მათგანი სწორედ ამიტომ ვერ ახერხებს ხოლმე ბილეთის აღებას. მონიტორინგის სამსახურს

ან განაწესი არ უვარგა, ან ეტყობა ამ სამსახურში სპეციალურ დავალებას აძლევენ. ავალებენ, რომ მოქალაქეები გამოიწვიონ და მიაყენონ შეურაცხყოფა. რამდენიმე დღის წინ საზარელი ფაქტის შემსწრე გავხდი. ფილარმონიასთან ამოვიდა კონტროლიორი და მოხუც ქალს დაადგა თავზე. ამ ქალბატონს ასთმის შეტევა ჰქონდა, საშინლად ახველებდა. ბილეთის ასაღები ფული ხელში ეკავა, მაგრამ მის აღებას ვერ ახერხებდა. ეს კონტროლიორი ცუდად მყოფ ადამიანს თავზე სულთამხუთავივით დაადგა და უყვიროდა ბილეთი რატომ არ გაქვსო. ქალმა მას ფული გაუწოდა და ხველებ-ხველებით სთხოვა, შვილო, ბილეთი ამიღეო. კონტროლიორი კი მის შეურაცხყოფას აყენებდა. ამან ავტობუსის მგზავრების აღშფოთება გამოიწვია და მას ქვევით ჩასვლა აიძულეს.

– გასაგებია, რომ კონტროლიორები უხეშად იქცევიან, მაგრამ მოქალაქეებმაც ხომ უნდა აიღონ ბილეთი?

– აქ საუბარი არ არის იმაზე, აქვს თუ არა მოქალაქეს ბილეთი. აქ საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო მოხელემ პირველ რიგში უნდა დაიცვას ზრდილობა. მოქალაქეებს შესაბამისი ფორმით უნდა წარუდგეს და კანონით გათვალისწინებულ ზომებს უნდა მიმართოს. ბილეთი თუ არ ექნება ადამიანს, მას მშვიდად უნდა გამოუწეროს ჯარიმა. შეურაცხყოფილად თუ იგრძნობს თავს, პატრული უნდა გამოიძახოს. სამწუხაროდ, ისინი ასე არ იქცევიან. მოქალაქეებთან სიტყვიერ კონფლიქტში შედიან და ზოგჯერ ცემატყეპაზეც გადადიან. პირადად შევესწარი რამდენიმე ასეთ ფაქტს. ამ კონტროლიორების ქცევების თემაზე ვატარებ ჟურნალისტურ გამოძიებას.

– ამ გამოძიებისას გაეხვიეთ შარში?

– არა. 20 ივლისს ვიჯექი 150 ნომერ ავტობუსში და მივდიოდი რედაქციაში. აღებული მქონდა ბილეთი, რომელიც ახლა საქმეს აქვს დართული. მოძრაობის მიმართულებით ზურგით ვიჯექი. არც კი შემინიშნავს, როგორ ამოვიდა კონტროლიორი. მერიასთან იყო მისული ავტობუსი, როცა თავზე დამადგა. ბილეთი მანახეო, მითხრა, მეც გავუწოდე. თურმე მივაწოდე თეთრი მხარით. ძალიან უხეშად მითხრა: გადმოატრიალე, ბიჭოო. მე ვკითხე, არ გჯერა, რომ ეს ბილეთია-მეთქი? საშინლად გამაღიზიანა მისმა ტონმა.

– ამ ტონით გაღიზიანებულმა აღარ აჩვენეთ ბილეთი?

– ტონმა ძალიან გამაღიზიანა, მაგრამ ბილეთი ვაჩვენე. ამის მიუხედავად მან მითხრა, ქვევით ჩამომყვიო. მეც ჩავედი.

– რატომ ჩაყვით?

– რატომაც არ ჩავიდოდი, ბილეთი ხელში მეკავა და ყველაფერი წესრიგში მქონდა. და როგორც იმ ცნობილ ფილმში იძახის იპოლიტე: „არის თუ არა ეს ბილეთი?“ გავიძახოდი. ამის მერე მითხრა, მერე რას მეთამაშები და მეკაიფები, ბიჭოო. მე მას ვაჩვენე ჟურნალისტის მოწმობაც და ვუთხარი, წადი რა შენი გზით, თავი დამანებე. არცთუ კეთილგანწყობილი ტონით მივმართე და ამაზე საპასუხოდ მივიღე გინება. მეც ქართველი მამაკაცი ვარ, გინება ვერ ავიტანე და საპასუხოდ შევაგინე. ამ გინებამ გონება გადაუკეტა, დაავიწყდა, რომ ფორმა ეცვა, სახელმწიფო სამსახურში იყო და მეცა ყელში, მიმაჯახა მესერს და მახრჩობდა.

– თქვენ ხელი არ შეუბრუნეთ?

– არ გამიწევია წინააღმდეგობა. მობილიზებული ვარ, რომ კამერა იქნება სადღაც და დააფიქსირებს ამ ფაქტს. ეს ინციდენტი მერიის სიახლოვეს, სადღაც 70 მეტრში ხდებოდა.

– ხალხი არ იყო, არ გაშველებდნენ?

– უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, გვაშველებდნენ. სამხედროების ჯიპიც გაჩერდა. მათ უთხრეს კონტროლიორს, ფორმა გაცვია და არ გრცხვენია, როგორ იქცევიო. ამას არაფერი არ ესმოდა. ის ხალხსაც კი აღარ აქცევდა ყურადღებას. ვითხოვდი პატრულის გამოძახებას და კონტროლიორის გვარის დაზუსტებას. გვარი ვერანაირად ვერ დავაზუსტე. არადა, საჭირო იყო მისი ვინაობის დადგენა. ამიტომაც ჩამოვგლიჯე „ბირკა,“ რომელიც ეკიდა კისერზე და გავიქეცი მერიისკენ. მივრბოდი და თან ვყვიროდი, პოლიციას გამოუძახეთ-თქო. შევვარდი მერიის ფოიეში, ესეც შემოვარდა. დაცვასაც მივმართე, პატრული გამოიძახეთ-მეთქი. ეს კაცი დაცვასაც არ მოერიდა და ისევ ჩემი ცემა დაიწყო. მაგინებდა, მეც ვაგინებდი, მაგრამ ხელი არ გამინძრევია.

– მერიის თანამშრომლები არ ჩაერივნენ თქვენს ჩხუბში?

– არა, ამ ყველაფერს მშვიდად უყურებდნენ. მე მათ მოვუწოდებდი, რომ გაეჩერებინათ ფორმიანი თანამშრომელი. ისინი კი სარგადაყლაპულებივით იდგნენ. თავს შთავაგონებდი, რომ პოლიციის მოსვლამდე ხელი არ შემებრუნებინა. ბოლოს მეც ამომივიდა ყელში და მუშტი მოვუქნიე. მუშტი მას ცხვირში მოხვდა და წასკდა სისხლი. ამ კაცმა სისხლისდენა კი არ შეიჩერა, არამედ დაიწურა ეს სისხლი პერანგზე. ამ ამბიდან 3 წუთში მოვიდა პატრულიც. მანამდე კონტროლიორმა გამოუძახა სასწრაფოს, გაითამაშა სასტიკად ნაცემის როლი. არადა, რეალურად მე გავილახე. ერთადერთხელ მოვუქნიე ხელი და ამას უამრავი მოწმე დაადასტურებს. პატრულს ყველაფერი მოვუყევი. ისინი ძალიან კორექტულად იქცეოდნენ. მომისმინეს, თუ რა მოხდა. მოუსმინეს მოწმეებსაც. ილია მჟავანაძე (ასე ჰქვია კონტროლიორს) გადაიყვანეს ექსპერტიზაზე. მეც მაიძულეს, რომ ექსპერტიზა გამევლო.

– რა თქვა ექსპერტიზამ?

– სულ არ ველოდი და ჩემს სხეულზეც მრავლად აღმოჩნდა დაზიანების კვალი. ყელზე აღმენიშნება ნათითურების კვალი. ეს მოწმობს, რომ მახრჩობდა. ამის გარდა სხეულის სხვადასხვა ნაწილში აღმენიშნება სისხლნაჟღენთები.

– ამის მიუხედავად საქმე მაინც თქვენ წინააღმდეგ არის აღძრული.

– კი, ჩემ წინააღმდეგ არის საქმე აღძრული 120-ე მუხლით, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებაა ეს მუხლი. სამართლიანობა მოითხოვს, ამ მუხლის კვალიფიკაცია მოხდეს. დამნაშავე მჟავანაძეა და ის უნდა დაისაჯოს. ნამდვილად არ მინდა, რომ ამ ადამიანს რაიმე პრობლემები შეექმნას და სამსახური დაკარგოს. მას ალბათ ოჯახი აქვს სარჩენი და სჭირდება სამსახური, მაგრამ სხვა ადამიანებზეც ხომ უნდა იფიქრონ. კონტროლიორები ექვემდებარებიან თბილისის მერიას, ამიტომ კეთილი ინებოს გიგი უგულავამ და თავის დაქვემდებარებაში მყოფებს ზრდილობიანი და კანონიერი ქცევებისკენ მოუწოდოს. რაკი მათი უფროსი უგულავაა, არ გამოვრიცხავ, რომ კონტროლიორებს ხალხის შეურაცხყოფა აქვთ დავალებული.

– ის ინციდენტი, რომელიც თქვენ შეგემთხვათ, შეფასდა როგორც პროვოკაცია, რატომ გგონიათ, რომ ეს პროვოკაციაა?

– ყველა ნიშნით ეს პროვოკაციას ჰგავს. თუმცა მე ჯერჯერობით შეფასებისაგან თავს შევიკავებ. გამორიცხული არაფერი არ არის. ისე კი ვიტყვი, რომ ეს კონტროლიორები გენერლებივით და ციხის ზედამხედველებივით დადიან ტრანსპორტში. ლამის არის, ხალხს „ჩესტის“ აღება და ზურგზე ხელების დაწყობა მოსთხოვონ. მე იმედი მაქვს, რომ სამართლიანობა დადგინდება და გაირკვევა, რა ამოძრავებდა ამ ადამიანს. პატრულის ქმედებით, როგორც უკვე გითხარით, კმაყოფილი ვარ. ამ კუთხით ნამდვილად შეინიშნება წინსვლა. ვნახოთ, რას დაადგენს გამოძიება. ისე, მაგარი უცნაური ბედი მაქვს. წლების წინ სხვებთან ერთად სახელმწიფო გადატრიალება დამაბრალეს და ჩვენგან ერთი ვაგონი იარაღი „ამოიღეს“. ახლა კი ჩემგან ნამდვილად ამოიღეს ბილეთი და მაგარი სასაცილო იქნება, ამის გამო რომ დამადონ მსჯავრი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში მიწის შესყიდვა აეკრძალათ

„აი, უცხოელმა იყიდა, უცხოელმა იყიდა მიწა, არ არის ეს ცუდი. ეს კარგია, უნდა მივესალმოთ,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 3 თვის წინ, ცენტრალური ტელევიზიების და გაზეთების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზე. 28 ივნისს, პარლამენტმა კანონში ცვლილება შეიტანა, რომლის საფუძველზეც უცხოელებს საქართველოში მიწის ყიდვა აეკრძალათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საკანონმდებლო ცვლილებას არაკონსტიტუციურს უწოდებს.

საქართველოში, 2012 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდათ, მიწის ყიდვა არ შეეძლოთ. 2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ყველა შეზღუდვა უცხოელებზე საქართველოს მიწის გაყიდვის შესახებ, რის შემდეგაც უცხოელებზე ასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი გასხვისდა.

ბოლო პერიოდში უცხოური მედია აქტიურად აშუქებდა უცხოელი ფერმერების მიერ საქართველოში მიწების მასობრივად შესყიდვას. მედიასაშუალებები წერდნენ, რომ საქართველოში მიწები მოსავლიანი და ძალიან იაფია, რის გამოც მიწა ათასობით უცხოელმა ფერმერმა შეისყიდა. საქართველოს მიწები ინტერნეტის საშუალებითაც იყიდებოდა. იუთუბე-ზე განთავსებულია ვიდეო, სადაც ინდოეთის მოქალაქე საინი დარჯმიტი თავის თანამოქალაქეებს კახეთში მიწის ყიდვას სთავაზობს. საინი დარჯმიტი ვიდეოში საქართველოში იაფ მუშახელზე და მიწის უპირატესობაზე საუბრობს. მისი თქმით, 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი კახეთში 1000 დოლარი ღირს. საინი დარჯმიტი თანამოქალაქეებს მოუწოდებს საქართველოში მიწები იყიდონ. იუთუბე-ზე დარჯმიტის მიერ განთავსებულ ვიდეოებს ათიათასობით მნახველი ჰყავს. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში მიწების შესყიდვის გამო ადგილობრივი ფერმერები მუდმივად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიერ „სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შეიტანა, რომელიც დღეიდან ამოქმედდა. ცვლილებების თანახმად, სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწას ვერ შეიძენს (ვერც მემკვიდრეობით მიიღებს) უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი და უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ეს უფლება აღნიშნულ პირებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე ჩამოერთვათ.

ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობას ასევე დაეკალა, 2013 წლის 31 დეკემბრამდე, სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ასევე მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება უზრუნველყოს.

ბიძინა ივანიშვილი – უცხოელმა რომ მიწა იყიდა, არ არის ეს ცუდი

„უცხოელებზე ნუ გექნებათ გართულება, ძალიან კარგია, უნდა მიესალმოთ უცხოურ ინვესტიციებს, მათი შრომის კულტურას შეიძლება ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ნუ გექნებათ ასეთი აქცენტების გაკეთების ხშირი საშუალებები, რომ აი, უცხოელმა იყიდა, უცხოელმა იყიდა მიწა, არ არის ეს ცუდი. ეს კარგია, უნდა მივესალმოთ,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 3 თვის წინ, ცენტრალური ტელევიზიების და გაზეთების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზე.

უცხოელი ფერმერების მიერ საქართველოში მიწების შესყიდვის შესახებ პრემიერ-მინისტრს კითხვა „კვირის პალიტრის“ მთავარმა რედაქტორმა გიორგი თევდორაშვილმა დაუსვა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ეს ძალიან საფრთხილო თემაა, რადგან ხელისუფლების ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შესაძლოა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედოს.

„ძალიან ბევრი კითხვებია, ძალიან ბევრი აღშფოთებული მოქალაქე მინახავს უცხოელი ფერმერების მიერ მიწების შესყიდვასთან დაკავშირებით რეგიონიდან. მესმის, მაგრამ მოთმინებას ვთხოვ. ის, რაც წინა ხელისუფლების დროს კანონიერად მოხდა, ჩვენ არ გვაქვს უფლება ეს დავხიოთ, გადავყაროთ და თავიდან დავიწყოთ, ყველაფერს ანგარიში უნდა გავუწიოთ. თან ზოგიერთ შემთხვევაში მგონი გადაჭარბებულია. ნორმალურია, რომ უცხოელი ფერმერებიც იყვნენ საქართველოში და მათაც მიიღონ მონაწილეობა სოფლის მეურნეობის აღორძინებაში, ამაში ცუდი არაფერია. ძალიან უნდა ვიფრთხილოთ, საქართველოში უნდა დაიწყოს ეკონომიკური აღორძინება. საკმარისია ერთი არაადექვატური ქმედება განვახორციელოთ უცხოელი ინვესტორის მიმართ, რომ ეს ჯაჭვური რეაქციის სახით გადაედება და სწრაფად გაიგებს მთელი ბიზნეს ელიტა. ძალიან ვფრთხილობთ, არ დაგიმაღავთ „ბიზნესმენები“ რომ ჰქვიათ, იმათთანაც კი ვფრთხილობ, რომ სამართლებრივ სივრცეში დაბრუნდნენ და განაგრძონ მოღვაწეობა. თუ ოდნავი უკანონო ქმედება ჩავიდინეთ, სავალალო შედეგს მივიღებთ. მალე დაიხვეწება მიგრაციის შესახებ კანონმდებლობა, ეს არ ნიშნავს რომ უცხოელებს აეკრძალებათ საქართველოში ინვესტიციები, უბრალოდ დარეგულირდება,“ – განაცხადა პრემიერ მინისტრმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უცხოელებისთვის მიწის შეძენის აკრძალვას უარყოფითად აფასებს. ორგანიზაციის განცხადებით, აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურია და საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად იმოქმედებს.

არასამთავრობო ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აყენებს და დისკრიმინაციულია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ ახლადშემოღებული შეზღუდვები საკუთრების კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს და შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სერიოზულად შეაფერხოს.

„აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას წინ უსწრებდა საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფის მიერ გავრცელებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიწა უცხოელებზე არ უნდა გასხვისდეს. ამასთანავე, რეგიონებში იყო შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ადგილობრივი მოსახლეობა არ აძლევდა მიწის დამუშავების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მიწის კადასტრის ორგანიზება ცალსახად დადებითი ინიციატივაა, ვფიქრობთ, 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელთა და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვა, გაუმართლებელია“, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებაში.

ორგანიზაციის შეფასებით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება უცხოელებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს.

„საკანონმდებლო ცვლილება უცხოელებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმსა და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს, რითაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს. ამ მუხლის თანახმად, საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება დაუშვებელია. ეს ნორმა ეხება როგორც საქართველოს, ასევე – უცხო ქვეყნის მოქალაქეს. აღნიშნულის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. კერძოდ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საკუთრების უფლება არ უნდა გადაიქცეს უფლებად, რომელიც უმეტესწილად სწორედ საკანონმდებლო რეგულირებაზე იქნება დამოკიდებული. დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ასეთი განმარტების შემდეგ მსგავსი შინაარსის შეზღუდვის კვლავ დაწესება, თუნდაც დროებით. აღნიშნული საფრთხეს უქმნის როგორც კონსტიტუციურ უფლებებს, ასევე, ზოგადად სამართლებრივ სტაბილურობას და განცდას, რომ პარლამენტის მიერ მიღებული არაკონსტიტუციური ნორმა გაუქმდება და აღარ იმოქმედებს. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ პარლამენტს შეუძლია სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უგულებელყოს“, – ამბობს ეკა გიგაური, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი.

მისივე თქმით, გაუგებარია, მიწის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას, რატომ იქნება ხელისშემშლელი უცხოელებისთვის და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის მიწის რეგისტრაციის უფლების შენარჩუნება.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ თუ ის სუბიექტები, რომლებსაც ამ კანონის მიღებით უფლება დაერღვათ სასამართლოს მიმართავენ, შესაძლოა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის საკანონმდებლო ნორმა გაუქმდეს.

ნათია დანელიშვილი, კახეთის საინფორმაციო ცენტრი

პაატა ზაქარეიშვილი: „გვახსოვს პერევი!“

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობა“ ათიოდე დღის წინ წერდა საჩხერის სოფელ პერევზე, რომელზეც გადის საოკუპაციო ხაზი. სოფელი თავისი ბუნების გარდა სპეციფიკური იმითაცაა, რომ მოსახლეობამ შეინარჩუნა საცხოვრებელი ბინები, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის 85% „მიღმა“ დარჩა, რის გამოც პერევის მოსახლეობას, ფაქტობრივად, საარსებო საშუალება აღარ დარჩა. წინა ასვლის დროს ჩემთან ერთად ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და საკრებულოს თავმჯდომარეც იმყოფებოდა. მაშინ ფეხდაფეხ დავიარე მუდმივი საშიშროების ქვეშ მყოფი სოფელი და მოსახლეობის პრობლემებს გავეცანი, რომელიც ძალიან ჰგავს სრულიად საქართველოს საჭირბოროტო საკითხებს: უმუშევრობა, უგზოობა, მატერიალური სახსრების სიმწირე მათ ისევე აწუხებთ, როგორც საქართველოს ყველა დანარჩენ მოქალაქეს, თუმცა პერევში დამატებით უმიწობა და მუდმივი განსაცდელის მოლოდინია. პირველ შეხვედრაზე საკრებულოს თავმჯდომარე ი. ზაბახიძე დაჰპირდა მოსახლეობას, რომ პაატა ზაქარეიშვილს, როგორც სოფლის სფეციფიკა მოითხოვდა, შეახვედრებდა მათ და პერევის პრობლემატიკას დეტალურადაც გააცნობდა. 19 ივლისს ზაქარეიშვილი საჩხერეში ჩამოვიდა, საკმაოდ გვიანი იყო, როცა პერევისკენ მანქანების კოლონა დაიძრა. გზის სირთულის გამო იძულებული გავხდი, რომ მეგობრის მაღალი გამავლობის მანქანით მესარგებლა და 18 კილომეტრიანი გზა მაინც საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ძლივს დაიკეცა. პირველი შეხვედრა სინაგურისა და ქარძმანის მოსახლეობასთან შედგა. საოკუპაციო ხაზს იქით მცხოვრები ქართველები და ოსები ჩქარობდნენ, რადგან ხაზს საღამოს 8 საათის შემდეგ ვეღარ გადაკვეთდნენ: რუსი მესაზღვრეები აღარავის ატარებენ დაგვიანებით და პერევში დარჩენას კი 20-მდე ადამიანი ვერ შეძლებდა. თედელეთის მოსახლეობა (სულ 20 სულიანი სოფელია) ადრიანად გადასულა საზღვარზე, რადგან 14 კილომეტრიანი მანძილის გავლა საკმაოდ ძნელი იქნებოდა გვიანი საღამოს შემდეგ.

სოფლის ამბულატორიაში ქარძმანისა და სინაგურის მოსახლეობის შეხვედრაზე კამერა გამორთული მქონდა ისევ „გადმოსულების“ უსაფრთხოების გამო, თუმცა მათ გარკვევით ჩამოაყალიბეს რამდენიმე პრობლემა: 18 სექტემბრიდან სინაგურიდან ავტომობილებით გადმოსვლა საჩხერისკენ შეწყდება–ეს რუსების დაანონსებული მომდევნო „სიურპრიზი“ იყო (როგორც მოსახლეობის საუბრიდან ჩანდა, სულ სამი ავტომობილი ყოფილა სინაგურში); ოსებს უნდათ ქართული პასპორტები და არა ე.წ. ნეიტრალური პასპორტები; სოფლის განვითარების პროექტების განხორციელება სინაგურსა და ქარძმანში, რადგან ამ სოფლების მოსახლეობას პასპორტებში (ან პირადობის მოწმობებში) უწერიათ საცხოვრებელი ადგილი საჩხერის მუნიციპალიტეტის აღნიშნული სოფლები; ოსური მართვის მოწმობებით საჩხერეში გადმოსვლის დროს 200 ლარიანი ჯარიმის დაკისრების აკრძალვა; ექთნის, თამარ ენუქიძის, მიმოსვლის შედარებით გაიოლება (მას ქართული მხრიდან უშიშროების თანამშრომლები საზღვრის ყოველი გადაკვეთის შემდეგ სთხოვენ „ანგარიშის ჩაბარებას“).

გამსახურდიას პერიოდში, მკითხველს ემახსოვრება, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისას, ჯავის რამდენიმე სოფელი საჩხერის რაიონულ საზღვრებში მოექცა. ამ სოფლების ადრე დაბადებულ მოსახლეობას ჰქონდა საბჭოთა დროინდელი სიმბოლიკიანი ან ოდნავ მოგვიანებით გაცემული ოფიციალური დოკუმენტაციები და მათ საფუძველზე დღესდღეობით აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები აღებული საჩხერეში, თუმცა მოგვიანებით დაბადებულებს არ აქვთ არცერთი ისეთი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იუსტიციის სამინისტრო გასცემს პირადობის მოწმობებს. იმ ადამიანებს, რომლებსაც კონფლიქტის დრომდე ჰქონდათ სრულწლოვანება, აქვთ ორი პასპორტი, ქართულიც და ოსურიც. ასეთებისათვის არც ოსურ და არც ქართულ ტერიტორიაზე გადაადგილება პრობლმური არაა (თანაც ქარძმანის მოსახლეობამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის უფროსი ჰუმანური ადამიანიაო), თუმცა სხვა დანარჩენებს ქართველების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა ეკრძალებათ.

ზემოთ აღნიშნულ ორივე სოფლისათვის საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები ვერ ეწოდება და დანანებით ამბობდნენ, რომ 1 ოქტომბერს გადმოვიდნენ საზღვარზე და ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს დიდი იმედით, რომ მათთვისაც რამე პოზიტიურად შეიცვლებოდა. სოფლის განვითარების პროგრამით გათვლილი თანხების მიზნობრივ ხარჯვას ვერ ახერხებენ, რადგან საჩხერის მუნიციპალიტეტი და სახელმწიფო ვერ ჩაიბარებს შესრულებულ სამუშაოს, ანუ ქარძმანში წყლის პრობლემის მოსაგვარებლად ცემენტი და მილები რომ წაიღოს ადგილობრივმა მოსახლეობამ, წყალგაყვანილობის სისტემის გაკეთების მერე იქ კომისია ვერ გადაამოწმებს, მიზნობრივად გაიხარჯა თუ არა სამშენებლო მასალა და მილები (ესეც ბიუროკრატიული ფორმალობა: რაში შეიძლება მოიხმაროს გლეხმა მილი, ატომურ რეაქტორი არ შეიძლება დამზადდეს ცემენტითა და წყლის გამტარი რეზინის „პოლდიუმა ტრუბებით“)! თანაც მოსახლეობა 5 ათასამდე ლარის ღირებულების საშუალებებზე ლაპარაკობს, როცა საჩხერე-პერევის გზაზე სოკოებივით წამოსკუპებული მცირე მოსაცდელი სამკედლიანი ოთახები 8 ათასი „დასჯდომია“ ადრინდელ ბიუჯეტს. მინისტრისგან დამაიდებელი პასუხები მიიღეს მოჩქარე „იქითელებმა“: კონკრეტული საკითხებით მომწერეთ წერილები და განუხორციელებელი არაფერი დარჩებაო.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა საოკუპაციო ხაზს იქით ცხოვრებული საჩხერის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა რაოდენობით, რისთვისაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საჩხერის სამოქალაქო რეესტრის უფროსს, მირზა თაბაგარს, მივმართეთ. მან აღნიშნა, რომ ამჟამად ქარძმანში ცხოვრობს 334 მოქალაქე, ხოლო სინაგურში–84, თედელეთში–20. ყველაზე ცოტა სასკოლო ასაკის მქონე მოქალაქე თედელეთშია–სამი ბავშვი, ხოლო ქარძმანსა და სინაგურში 73 და 14 .

მინისტრთან მოსახლეობის დაცილების დროც მოვიდა, თუმცა წასვლამდე ერთმა ადამიანმა საკმაოდ ბუნდოვანი კითხვა დასვა: მიწისძვრის შემდეგ „იქიდან“ 15 ოჯახი გადმოსახლებულა მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე, თუმცა მიწის ნაკვეთები საოკუპაციო ზონაში მოხვედრილა და 18 სექტემბრის მოსალოდნელი აკრძალვის შემდეგ მოსახლეობა მოსავალს ვერ გადმოზიდავდა მეორე მხრიდან. როგორც გაირკვა, ამ ადამიანებს აქვთ ორი პასპორტი, რომლის საშუალებითაც ფეხით მიმოსვლა არ შეეზღუდებოდათ ტვირთის გადასატანადაც (ზაქარეიშვილმა გაახსენა მოსახლეობას, რომ ენგურის ხიდზე სწორედ ასე გადაქვთ და გადმოაქვთ ტვირთი).

მინისტრის შეხვედრის მეორე ეტაპი პერევის ცენტრში მოხდა: უზარმაზარი საწესჩვეულებო დარბაზი დაუწყიათ „ნაციონალების“ დროს, თუმცა დასრულებამდე კიდევ ბევრი აკლია (სახურავს აშკარად ეტყობა „ბიძინასეულობა“). რახან მოსახლეობა საკმაოდ ბევრი დაგვხვდა, ხმაურიც ბევრად მეტი იყო: ადრე ნანახი პერეველების გვერდით „ზიმა-ლეტა“ მოსახლეობაც მოჩანდა, ერთმა ქალბატონმა დაწერილი ტექსტი წაუკითხა მინისტრს: აქაოდა, არაფერი გამომრჩესო. პრობლემების უმეტესობა საყოველქართველო იყო, რაც ზაქარეიშვილმა კიდეც განმარტა და მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვა, რომ გაგრძელებულიყო საუბარი, რამაც მოქალაქეების გაღიზიანება გამოიწვია.

ზუსტად „საირეინტეგრაციო“ საკითხებიც დასვეს მინისტრის წინაშე: ქართლში იძულებით გადაადგილებული პირებისაგან მხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ უსახლკაროდ არ დავრჩით, საარსებო წყაროები კი მოგვისპეს და თუნდაც დევნილებისთვის განკუთვნილი 28 ლარიანი შემწეობაც დიდი შეღავათი იქნებოდაო. სინაგურის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მზია გაბაძემ ითხოვა, რომ იქნებ სინაგურელი ქართველი და ოსი ბავშვებისათვის შავიზღვისპირზე მცირეხნიანი დასვენების სახსრები გამოყოფილიყო. გაბაძე რუსეთის კონტროლირებად სინაგურში პერევიდან მიუწვევიათ და „სპრავკით“ უპრობლემოდ გადაადგილდება, თანაც ოსურ ადმინისტრაციას ოთხი ქართველი მოსწავლისთვის სამი ფინანსური კლასი გაუხსნია (იმ სკოლაში ოსური და ქართული სექტორები არსებობს და ქალბატონი მზიაც დირექტორის მოადგილეა). აქიდან გამომდინარე, ადვილად დავასკვნით კიდევ ერთხელ, რომ ოსებსა და ქართველებს შორის მხოლოდ გამყოფი რუსული ძალაა და სხვა არაფერი...

მოსახლეობამ გამოკვეთა ერთი საკითხი დამატებით: საოკუპაციო საზღვარს იქით დარჩენილი მიწების საკომპენსაციო თანხები გამოყავითო, რაზედაც უარი მიიღეს, ალბათ იმიტომ, რომ ამით ქართული მიწების „გადარუსების“ აღიარება მოხდება!

საჩხერის გამგებელმა, ივანე გოშაძემ, აღნიშნა, რომ მუნიციპალური ხელისუფლება აღნიშნულ პრობლემების წინაშე უძლურია, ყველაფერი სახელმწიფო და სახელმწიფოთაშირისი პოლიტიკის წყალობით თუ მოგვარდება, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებამ შეიძლება პირველ ეტაპზე გამოიტანოს დადებითი შედეგი, შემდეგ კი–გამოუსწორებელიცო. მანვე დასძინა, რომ სოფელ პერევში 50-მდე ოჯახური სოციალურ შემწეობას იღებს და შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს მათი რიცხვიო; ხოლო საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა ზაბახიძემ, უფრო დამაიმედებელი კომენტარი გააკეთა: ვგეგმავთ საბავშვო ბაღებისათვის სახლების შეძენას, რადგან ერთი ახალის ასაშენებელი თანხით სამი მზა შენობის შესყიდვა შეიძლება, ვცდილობთ ინფრასტრუქტურული გარემოს მოწესრიგებას, სასოფლო-სამეურნეო პროექტების განხორციელებას, იმ დაკარგული საძოვრების სანაცვლოდ, რომლებიც მიტაცებულია, ონის საკრებულოს თავმჯდომარეს ვთხოვე და 32 ჰექტარი ალპური საძოვარი დაგვითმეს, ვცდილობთ სახალხო დიპლომატიის აღორძინებასა და მოსახლეობის პასპორტიზაციის მოგვარებასაც.

ბოლოს ერთი ახალგაზრდა შევარჩიე და ვკითხე: თუ აპირებდა სოფელში დამკვიდრებას. 24 წლის ვახტანგ ცუხიშვილმა თქვა, რომ ძმას უნდა გამოეყოს და სხვაგან დასახლდეს, რადგან პერევში მიწის ფართობი თითქმის აღარ არსებობს. არ ვიცი, რა კითხვა დაუსვეს ამ დროს პაატა ზაქარეიშვილს, რომელმაც მკაფიოდ თქვა: პერევი გვახსოვს!

უახლოეს ხანებში ზაქარეიშვილი ბრიუსელში ქეთრინ ეშტონს შეხვდება, რომელიც ალბათ ისევ აღშფოთებას გამოხატავს და პერევის მოსახლეობა უმეტესად კვლავ ღვთის ანაბარად დარჩება ქართულ-რუსული კონფლიქტის ბუფერულ ზონაში!

შსს-მ საპატრულო პოლიციის მუშაობის 6 თვის ანგარიში წარმოადგინა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საპატრულო პოლიციის მუშაობის 6 თვის ანგარიში წარმოადგინა.

„საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში ყველა ცვლილება და ნოვაცია, შინაგან საქმეთა მინისტრის უშუალო ინიციატივითა და თანადგომით განხორციელდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით განხორციელდა საპატრულო პოლიციის სრული რებრენდინგი: როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ავტოპარკი განახლდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი ავტომანქანებით; აღნიშნულ ავტომანქანებზე განთავსდა ახალი დიზაინის წარწერები და ლოგოები, ისინი აღიჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტ-კომპიუტერებითა და ახალი საკომუნიკაციო საშუალებებით; ასევე დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის ფორმის ტანსაცმელი, ის აღიჭურვა ისეთი თანამედროვე, სპეციალური საშუალებებით, როგორიცაა: სამხრე ვიდეოკამერები და ელექტროშოკები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი და ბეჭდვითი ფუნქციით) და სხვა.

იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ ხშირია ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს, აღნიშნული სამართალდარღვევის ეფექტური აღკვეთის და პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი მომზადდა და პარლამენტში შსს-ს მიერ მისი ინიცირება მოხდა. აღნიშნული სამართალდარღვევის ეფექტური აღკვეთის და პრევენციის მიზნით საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში დამატებით დამონტაჟდა 29 ახალი ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემები (ე.წ.რადარი): ავტომაგისტრალებზე – 12, ხოლო თბილისში – 17 რადარი. რადარების წინ შესაბამისი საგზაო ნიშნები განთავსდა.

გაუმჯობესდა დამრღვევი მძღოლისათვის ადმინისტრაციული ჯარიმის შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემა. რადარის მიერ დაფიქსირებული გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა სპეციალური კამერის მეშვეობით ფიქსირდება და მფლობელს შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმა რეგისტრაციის ადგილზე მისდის. ამავდროულად, საპატრულო პოლიცია საჯარიმო ქვითრის ჩაბარებამდე დამრღვევ მძღოლს სმს-ით აფრთხილებს. ჯარიმის გადახდის ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე მოქალაქეს სმს-ით მისდის შეხსენება.

იგეგმება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების მონაცემთა ბაზის დახვეწაც, რისთვისაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები ჯიპიეს სისტემით აღიჭურვა, რათა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს მოხდეს ადგილის ზუსტად დაფიქსირება, ე.წ. „შავი წერტილების“ დადგენა, შემდგომში პრევენციული ზომების განხორციელებისათვის.

იმ რეგიონებში, სადაც აქამდე საპატრულო პოლიციის უფლებამოსილება და მომსახურება არ ვრცელდებოდა, დღეისთვის ის ხელმისაწვდომი გახდა როგორც თბილისის გარეუბნებში, ასევე კახეთის, იმერეთის, მცხეთის, ქვემო ქართლის და აჭარის სხვადასხვა ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაო პროცესი გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის მიმართულებით საპატრულო პოლიციის ახალი დანაყოფის შექმნასთან დაკავშირებით.

დღეისთვის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში სულ 3564 თანამშრომელი მუშაობს. საპატრულო პოლიციის ავტოპარკში ავტომანქანების რიცხვი 245-იდან 300-მდე გაიზარდა: თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს 280 პატრულ-ინსპექტორი და 35 ავტომანქანა დაემატა, ხოლო სამეგრელო – ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს – 40 პატრულ-ინსპექტორი და 7 ავტომანქანა; შიდა ქართლის მთავარ სამმართველოს – 18 პატრულ-ინსპექტორი და 3 ავტომანქანა; კახეთის მთავარ სამმართველოს – 18 პატრულ-ინსპექტორი და 3 ავტომანქანა; აჭარის მთავარ სამმართველოს – 42 პატრულ-ინსპექტორი და 7 ავტომანქანა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა შემუშავა საქართველოს კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რომელიც სწორი ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრას, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას და ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დაწესებას ემსახურება. ახალი კანონ-პროექტის მიხედვით, სამართლის ნორმების ნაწილი გამკაცრდა, ხოლო ნაწილი შემსუბუქდა.

საპატრულო პოლიცია აქტიურად მონაწილეობდა ახალი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შექმნაში.

2009 წლიდან შსს საპატრულო პოლიცია სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში პასუხისმგებელია სასაზღვრო რეჟიმის დაცვასა და სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლზე. დღეისთვის საქართველოში ფუნქციონირებს 19 სასაზღვრო გამტარი პუნქტი, აქედან 3 აეროპორტი, 3 პორტი, 2 სარკინიგზო საზღვარი და 11 სახმელეთო საზღვარი.

ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, დღეის მონაცემებით, საქართველოს ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტზე რადიაციულ ნივთიერებათა აღმომჩენი პორტალური მონიტორების მონტაჟი სრულდება“, – ნათქვამია შემაჯამებელ ანგარიშში.

პირველი

რას ვერ იყოფენ ზურაბ ჯაფარიძე და გიორგი ბარამიძე

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ბარამიძე არ იზიარებს ზურაბ ჯაფარიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კულტურის სამინისტრო არ უნდა არსებობდეს. ამის შესახებ ბარამიძემ ბათუმში, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის შესარჩევი პრაიმერის მიმდინარეობისას განაცხადა. ბარამიძის თქმით, წინა მთავრობის შეცდომა იყო, რომ განათლების სისტემაზე მეტი ფული არ დახარჯა.

„მხოლოდ განათლებულ ადამიანს შეუძლია, ის დიდი ომი მოიგოს, რაშიც ჩვენ ვართ ახლა. ყველამ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის აზრს, კულტურას, განსხვავებული რელიგიის ადამიანებს. ჩვენ გვყავს უამრავი, არავიზე ნაკლები ქართველი, რომელიც არის მუსლიმანი და ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. კიდევ ერთი საკითხი, მინდა, ზურას შევეკამათო და არ დავეთანხმო, რომ საქართველოს არ სჭირდება კულტურის სამინისტრო. საქართველოს ძალიან სჭირდება კულტურის სამინისტრო, ეს აუცილებელია. რომ არა კულტურის სამინისტრო ქვეყანაში ვერ მოხდებოდა ის, რომ ჩვენ 400 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი აღვადგინეთ“, – განაცხადა ბარამიძემ.

პირველი

სათნოებაში გადაზრდილი კოაბიტაცია

ის, რომ საქართველო პარადოქსების ქვეყანაა და ის, რომ აქ, განსაკუთრებით პოლიტიკაში, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს, დიდი ხანია ცნობილია არა მარტო ქართული საზოგადოებისთვის, არამედ დასავლეთისთვისაც, რისი შედეგიცაა ალბათ ის, რომ დამარცხებულ დამნაშავე რეჟიმთან, საკმაოდ თავხედური ოპერატიულობით, მათ კოაბიტაცია შემოგვთავაზეს.

არც ისაა გასაკვირი, რომ თუ 1942 წლის დასაწყისში, საბჭოთა კავშირ – გერმანიის ხელშეკრულება და ინგასა და კუკარაჩას სიყვარული იყო უმნიშვნელოვანესი თემა, დღეს ის კოაბიტაციამ და ბადურა შვილ-კუტალაძის განქორწინებამ ჩაანაცვლა.

აღნიშნული რუბრიკის შინაარსი არანაირად არაა დაკავშირებული ვინმეს პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან, მაგრამ მეორე საკითხი, რაც ზოგადად ქვეყნის ინტერესებზე და საზოგადოების განწყობაზე აისახება, ნამდვილად საყურადღებოა.

აღარაფერს ვიტყვი უკვე ათასგზის გამეორებულ ფრაზასთან დაკავშირებით, რომ 1 ოქტომბერს ხალხს ხმა კოაბიტაციისთვის არ მიუცია და მათი დაკვეთა სულ სხვაა. ეს ფრაზა და თემა უკვე ბანალობადაც კი იქცა. გასაგებია ისიც, რომ აღნიშნული კოაბიტაცია, შეიძლება გარკვეულ დონეზე დასავლეთისთვის ანგარიშის გაწევის ფაქტორითაცაა გამოწვეული, მაგრამ გაუგებარია ის, რომ პიროვნებები და ცალკეული პოლიტიკური ძალები, ვინც ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენისა და ხალხისთვის ღირსების დაბრუნების ლოზუნგით მოვიდნენ, დღეს კოაბიტაციის აუცილებლობაში, მის განუხრელად დაცვაში და „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმირების მცდელობაშიც კი, თვით დასავლეთსაც სჯობნიან. ანუ მოკლედ რომ ვთქვათ,

ცდილობენ დასავლეთის თვალში თავი რომის პაპზე მეტ კათოლიკეებად წარმოაჩინონ და ძალიან ნაკლებად აღელვებთ ის ფაქტი, თუ როგორ წარმოჩინდებიან ისინი საკუთარი ამომრჩევლის თვალში, მითუმეტეს, რომ 5 წლიანი გარანტიის მქონე საპარლამენტო მანდატი უკვე ჯიბეში უდევთ.

ამხელა შესავალი, ბოლო პერიოდში თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიერ, მედიის საშუალებებით გაჟღერებული ფრაზების გამო გავაკეთე.

ამ ფრაზების მიხედვით, კი ირაკლი ალასანია, „ნაციონალურ მოძრაობას“ ლამის თავის ძმად და მეგობრად მოიხსენიებს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილიც ამავეს ფიქრობდეს.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ის, თავის მთავარ ამოცანად „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას არ მიიჩნევს.

„მე აბსოლუტურად სხვა განწყობა მაქვს. მე არ ვთვლი „ნაციონალური მოძრაობას“ მტრად. მათი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად. რაც შეეხება იმ შედარებას, რომ ბრძოლაში დამარცხებული ბოლომდე უნდა გაანადგურო, ჯერ ერთი საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ერთმანეთს ასე გავუსწორდეთ“ – განაცხადა ბატონმა ალასანიამ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში.

დამეთანხმებით, ეს ის განცხადებაა, რომლის მოსმენაც, კოაბიტაციის მხურვალე მხარდამჭერსა და ერთგულ დარაჯს, ბატონ რასმუსენს, მეხუთე შვილიშვილის შეძენაზე ნაკლებად არ გაახარებდა.

არანაკლები სიხარულით მიიღებდნენ ამ განცხადებას თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც, ხოლო როგორ მიიღო ეს მოსახლეობამ – აბსოლუტურად სხვა საკითხია და როგორც აღვნიშნე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს საზოგადოების რეაქცია ნაკლებად აინტერესებს.

ზოგადად კი ის ფაქტი, რომ ირაკლი ალასანია „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად არ განიხილავს, ახალი ნამდვილად არ არის, რადგან ბატონი ალასანია წინა ხელისუფლებას მტრად არც მაშინ განიხილავდა, როცა ციხეებში ხალხს ცოცხებით აუპატიურებდნენ, სამეგრელოს ტყეებში მოწყობილ ჯურღმულებში კი, ვანოს სამინისტროს ოფიციალური გამაუპატიურებლები, უპატრონო გლეხებს აუბედურებდნენ.

ირაკლი ალასანია „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად არც მაშინ განიხილავდა, როცა ეს უკანასკნელი საკუთარ ხალხს ქუჩაში ხოცავდა, მიტინგებს არბევდა, მიტინგებზე დახოცილი ხალხის გვამებს მაღაზიის სახურავებზე აწყობდა, ათასობით ადამიანს უდანაშაულოდ, ასობით ადამიანს კი პოლიტიკური ნიშნით იჭერდა.

უფრო მეტიც, დღევანდელმა თავდაცვის მინისტრმა, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სააკაშვილის ავტორიტარულ სისტემას სრულიად უიმედო მდგომარეობაშიც კი ებრძოდა – მეორეხარისხოვანი ქართველები უწოდა.

ამიტომ ვამბობ, რომ საზოგადოებისთვის მოულოდნელი ნამდვილად არ იყო ირაკლი ალასანიას განცხადება, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად არ აღიქვამს.

სხვათა შორის იგივე საზოგადოების უმრავლესობის აზრით, არც ბატონ ალასანიას აღიქვამს და აღიქვამდა „ნაციონალური მოძრაობა“ მტრად.

ხოლო ისინი, ვისაც მიხეილ სააკაშვილის და მისი ავტორიტარული ხელისუფლების წარმომადგენლებს ეშინოდათ და ვინც მტრად მიაჩნდათ, ან დახოცეს, ან წლობით ციხეში გამოკეტეს, ხოლო რაც შეეხება ალასანიას, მისი გზა ხელისუფლებაში და ოპოზიციაში ყოფნის დროს ერთნაირად ია-ვარდით იყო მოფენილი.

საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, რომ ამ პატივისცემას ირაკლი ალასანიაც სათანადოდ აფასებდა და მუდმივად კონტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდებდა ოპოზიციურ ძალებს, უფრო მეტიც მის მიერ ჩამოყალიბებულმა სამეულმა, შემდგომ რვიანმა და შემდგომ ექვსიანმა, რომლებიც ძირითადად ალასანიას ორბიტაზე ტრიალებდნენ, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას არსებობა მნიშვნელოვნად გაუხანგრძლივეს და რომ არა ერთი ადამიანის და მის მიმართ სრულიად საქართველოს ნდობისა და სიყვარულის ფაქტორი, ქართველი ერი სავარაუდოდ ავტორიტარიზმის ქვეშ კიდევ მრავალი წელი იცხოვრებდა.

სხვათა შორის, ლოგიკურად, ასევე გამოდის, რომ თავდაცვის მინისტრი, რომელიც ქვეყნის მტრის ნომერ პირველი მტერი უნდა იყოს, აცხადებს, რომ ისეთი ანტიეროვნული ძალის, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა,“ – მტერი არ არის.

რაც შეეხება იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ რომ საქართველოს მტერია, მისი ქმედებებიდან გამომდინარე ძნელად დასამტკიცებელი არ უნდა იყოს.

არაფერს ვიტყვი საკუთრების უფლების ხელყოფაზე, საგანმანათლებლო კერების მიზანმიმართულ ნგრევაზე და სხვა „წვრილმან“ დანაშაულებზე, მაგრამ ხელისუფლება, რომლის ავანტიურის შედეგადაც ქვეყანამ ტერიტორიების 20 პროცენტი და ასეულობით ახალგაზრდა მეომრის სიცოცხლე დაკარგა, რომლის მითითებითაც ციხესა თუ ციხის გარეთ მაგიდაზე სკოტჩით დაბმულ ადამიანებს ცოცხითა თუ ცოცხის გარეშე აუპატიურებდნენ და ხელისუფლება, რომელმაც საკუთარი მშვიდობიანი მოქალაქეები სხვადასხვა სახით სიკვდილისთვის უყოყმანოდ გაიმეტა – ნამდვილადაა ქვეყნის მტერი, ხოლო ქვეყნის მტრის არმტრობა, მითუმეტეს თავდაცვის მინისტრის მიერ, იგივე ქვეყნის მტრობაა.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯერ კიდევ ამერიკაში მყოფი ირაკლი ალასანიასგან ოპოზიციის ლიდერის ჩამოყალიბებას და ამ ლიდერის მიმართ მოლოდინის შექმნას, მაშინდელი ნაციონალური მედია მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს, ხოლო შემდეგ, გაოპოზიციონერებული ირაკლი ალასანია ნამდვილად წარმატებით მართავდა მინიმუმ რამდენიმე ოპოზიციურ ძალას, დეკლარირებული კოაბიტაციური მზაობის შესახებ განცხადებები მის მიერ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუმცა საინტერესოა ვინ აძალებს ალასანიას იყოს რომის პაპზე მეტი კათოლიკე და ნაციონალების მიერ ხელისუფლების მისამართით ნასროლ ხელთათმანს, მეგობრული მარჯვენა შეაგებოს.

ამ ფონზე რეალობასთან ძალიან ახლოსაა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ნაციონალები ირაკლი ალასანიას გაპრეზიდენტებით სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ამით ისინი არათუ გარანტირებულ ხელშეუხებლობას, არამედ ხელისუფლებაში დაბრუნების რეალურ შანსსაც შეინარჩუნებდნენ, თუმცა ეს იმედები, საბედნიეროდ, თუ ის მართლაც არსებობდა, – საკმაოდ მალევე იქნა მოშთობილი.

„რაც შეეხება იმ შედარებას, რომ ბრძოლაში დამარცხებული ბოლომდე უნდა გაანადგურო, ჯერ ერთი, საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ იმის ფუფუნება არა გვაქვს, რომ ერთმანეთს ასე გავუსწორდეთო“ – ბრძანებს ბატონი ალასანია, თუმცა რატომღაც ნაკლებად ითვალისწინებს ნაციონალების მიერ განვლილი 9 წლის განმავლობაში ჩადენილ ქმედებებს, როდესაც ისინი მოწინააღმდეგეებს არა პოლიტიკურად, არამედ პირდაპირ, – ფიზიკურად ანადგურებდნენ.

მართალია იმის თქმაც, რომ იმ მეთოდებით მოქმედება, რითაც წინა ხელისუფლება გამოირჩეოდა, იგივე მოჯადოებულ წრეზე დაგვაბრუნებს, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეები არათუ არ დაისჯებიან, არამედ რეინკარნირებას მოახდენენ და ძალაუფლების სადავეებს ამა თუ იმ ფორმით და დოზით კვლავ იგდებენ ხელთ. ღმერთმა დაიფაროს სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ირაკლი კოვზანაძე EBRD-ის პრეზიდენტს შეხვდა

ევრობანკი 2013 წლის ბოლომდე დამატებით 200 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს

საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დელეგაციას, რომელსაც EBRD-ის პრეზიდენტი სერ სუმა ჩაკრაბარტი ხელმძღვანელობს, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე შეხვდა.

შეხვედრაზე „ევრობანკის“ დელეგაცია დეტალურად გაეცნო საპარტნიორო ფონდის მისიას, ამოცანებს, შესაძლებლობებს და მიმდინარე მნიშვნელოვან პროექტებს. მხარეებმა განიხილეს საპარტნიორო ფონდის სუვერენულ ფონდად გარდაქმნის მიმდინარე პროცესი.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, EBRD-ის დელეგაციისთვის საყურადღებო აღმოჩნდა საპარტნიორო ფონდის მესვეურთა მხრიდან წარმოდგენილი კონკრეტული ხედვების გაცნობა, თუ რა ფორმებით, რა ფორმატით და რა მოცულობით არის შესაძლებელი და სასურველი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ჩართვა საპარტნიორო ფონდის საქმიანობაში, მათ შორის, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების განვითარებაში.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის ვიზიტი ცალსახად დადებითი მოვლენა და პოზიტიური სიგნალია ინვესტორებისთის. ხოლო სერ სუმა ჩაკრაბარტის განცხადება, რომ ევრობანკი საქართველოში წელსვე დამატებით 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს, კიდევ უფრო მაღლა სწევს ევრობანკის დელეგაციის ვიზიტის მნიშვნელობას. საპარტნიორო ფონდში მათი სტუმრობა უმნიშვნელოვანესი ფაქტია, – ჩვენთვის დიდი პატივი იყო ასეთი მაღალი რანგის სტუმრის მიღება. შეხვედრაზე „ევრობანკის“ პრეზიდენტი და უმაღლესი რანგის ბანკირები გაეცნენ ჩვენი ფონდის ამოცანებს და შესაძლებლობებს. ისინი ასევე გაეცნენ საპარტნიორო ფონდის სუვერენულ ფონდად გარდაქმნის საკითხებს. განვიხილეთ ჩვენი ერთობლივი პროექტების მიმდინარეობა. მოგეხსენებათ, „ევრობანკი“ საპარტნიორო ფონდის შემადგენლობაში შემავალ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ თანამშრომლობით რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობს. ვისაუბრეთ თანამშრომლობის გაფართოების კონკრეტული ასპექტების შესახებ. დარწმუნებული ვარ, საპარტნიორო ფონდის პროექტებით „ევრობანკის“ დაინტერესება უახლოეს მომავლში კონკრეტულ შედეგებს გამოიღებს და ეკონომიკის იმ სექტორებში, სადაც საქართველოს სახელმწიფოს პრიორიტეტები გააჩნია (ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა/უძრავი ქონებ, წარმოება), ინვესტირების მასშტაბის საგრძნობლად გაზრდის შესაძლებლობას მოგვცემს“, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის განცხადებით, ევრობანკის დელეგაციისთვის საპარტნიორო ფონდში სტუმრობა საინტერესო გამოდგა. „ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გავცნობოდით ამ ძლიერი ფონდის შესაძლებლობებს, სუვერენულ ფონდად მისი გარდაქმნის პროცესს, განვიხილეთ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ მიმდინარე ჩვენი ერთობლივი პროექტები. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფონდის აღმასრულებელი დირექტორისგან ირაკლი კოვზანაძისგან სრული და ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ. გამოვთქვამ იმედს, რომ ჩვენი სამომავლო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იქნება“, – განაცხადა „ევრობანკის“ პრეზიდენტმა.

დავით დარჩიაშვილი: „ჩვენ წინააღმდეგ აქციებს „ქართული ოცნება“ აწყობს“

შორენა კოწოწაშვილი

საზოგადოებაში მუდმივად მუსირებს აზრი, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული ხალხი პროკურატურის ქმედით ნაბიჯებსა და დამნაშავეთა დასჯას ელოდება, ხოლო თუ სამართლიანობის აღდგენის პროცესის ფარგლებში სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები, დიდი თუ პატარა თანამდებობის პირები, რომლებმაც პირადად იქონიეს გავლენა ამა თუ იმ პირის უკანონოდ დაპატიმრებასა და ქონების ჩამორთმევაში, აგრეთვე მკვლელობებსა და წამებაში, შემდგომ ეს ადამიანები სამართალს თავად აღასრულებენ.

სხვათა შორის, მსგავსი განცხადებები უკვე საგაზეთო ინტერვიუებშიც ფიქსირდება, მათ შორის იმავე ე.წ. მუხროვანის ამბოხების ბრალდებით გასამართლებულთა მხრიდან, რომლებმაც წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ქვეშ საკმაოდ დიდი ხანი გაატარეს.

დღეს იმ რეჟიმის წარმომადგენლები, რომლებიც ამაყად მოძღვრავდნენ ქართველ საზოგადოებას და დასავლეთსაც წარმატებით უმტკიცებდნენ სააკაშვილის დემოკრატიული მმართველობის შესახებ, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებას განაგრძობენ და ცდილობენ, დასავლეთს დაანახვონ „ქართული ოცნების“ არადემოკრატიული მმართველობა. რამდენად გამოუვათ ეს დისკრედიტებულ ნაციონალებს, რომელთა მმართველობის პერიოდში სტრასბურგის სასამართლო გაივსო საქართველოდან შესული სარჩელებით და ამერიკის სახელმწიფოს დეპარტამენტში ბაჩო ახალაიას „წარმატებული“ საქმიანობის შესახებ, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი ფაქტია, რომ ნაცელიტა საპრეზიდენტო არჩევნების წინ შექმნილ საარჩევნო გარემოს აპროტესტებს და მას არადემოკრატიულს უწოდებს.

– წინასაარჩევნო გარემო უსამართლოა, – აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი, რომელსაც მსგავსი განცხადების გაკეთება ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში აზრადაც არ მოსვლია, თუმცა წინა ხელისუფლების დროს საქართველოში არჩევნები როგორი დარღვევებით და გაყალბებით ტარდებოდა, ეს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნითაა ცნობილი.

დავით დარჩიაშვილმა უსამართლო საარჩევნო გარემოს სპეციალური პრესკონფერენციაც მიუძღვნა და შეეცადა, ჟურნალისტები და შემდგომ საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ დღეს გაცილებით უარესადაა საქმე, ვიდრე იმ დროს, როცა ნაცელიტა ციხეებს ცოცხებით მართავდა და უსამართლობისა და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით გამოსულ ადამიანებს, დუბინკებითა და ცრემლსადენი გაზით უსწორდებოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუჩაში დახვრეტებსა და უკანონო დაპატიმრებებზე.

– ზუგდიდში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ღონისძიების – პრაიმერის ძალადობრივად ჩაშლის მცდელობა განხორციელდა. ამ ფონზე იკვეთება შემდეგი: ერთი, ეს არის ის, რომ „ქართული ოცნება“ თავის წინასაარჩევნო ტაქტიკა, იმისათვის, რომ გადაფაროს ეკონომიკის კატასტროფული ვარდნა და „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის დაბალი რეიტინგი, ძალადობას იყენებს. ეს ძალადობა დაწყებულია თვეების განმავლობაში. გუშინდელი დღე იყო ერთ-ერთი ნიშანდობლივი შემთხვევა ამისა. ამავე დროს, იკვეთება, თუ რა არის სამართლიანობის ფასი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისათვის – თუკი თქვენ აპროტესტებთ რუსულ ოკუპაციას ან უნივერსიტეტების ავტონომიის მიმართ საფრთხეს, ჯარიმა შეიძლება 400-დან 1000 ლარამდე იყოს; თუკი თქვენ ფიზიკურად შეეხებით პოლიციელს და, მით უმეტეს, დეპუტატს და ქვებს ესვრით საპრეზიდენტო კორტეჟს თუ საპარლამენტო პარტიულ დელეგაციას, მაშინ თქვენი ჯარიმა დაახლოებით 1000 ლარია და შეიძლება, იმ ჯგუფებში, რომელსაც მარტო გულუბრყვილო თუ დაიჯერებს, რომ გაუწონასწორებელი სუბიექტი მიქაია მართავს, იმიტომ, რომ ასობით ადამიანი იყო მობილიზებული ზუგდიდში, მათ შორის „ოცნების“ გამგეობის ინიციატივით. მაშინ შეიძლება აქტიურობისთვის, იმ ეგზალტირებისათვის, რასაც ისინი ავლენენ, მცირე ფულად ჯარიმასთან ერთად მიიღოთ დაწინაურება იმ „შტურმავიკულ“ ჯგუფებში, რომელიც არის შექმნილი. ყველაფერი ეს აჩვენებს, რომ სამართლებრივი და წინასაარჩევნო გარემო, ზოგადად, მიუხედავად იმისა, რამდენად პლურალისტური იქნებით თქვენ, მედიის წარმომადგენლები, არის უსამართლო, – განაცხადა დეპუტატმა დავით დარჩიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსის შედეგები გამოაქვეყნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები გამოვლენილია, თუმცა მანამდე კონკურსში მონაწილეობის ყველა მსურველს კონკურსი პირობები გააცნო: „კონკურსის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმის სცენარის შექმნა. კონკურსი გამოცხადდა ეროვნული ფილმის სცენარის განვითარების დაფინანსების მიზნით სცენარისტების და პროდიუსერებისგან შემდგარი გუნდებისთვის. პროექტი ითვალისწინებს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების სცენარების განვითარებას გუნდური ჩართვის პრინციპით (პროდიუსერი, სცენარის ავტორი) სცენარის კონსულტანტებთან ერთად. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ეროვნულ კინოცენტრში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. კონკურსში გამარჯვებული პროექტები, კინოცენტრის მიერ დაფინანდება საექსპერტო კომისიის მიერ რეკომენდებული თანხის შესაბამისად, არაუმეტეს 5 000 (ხუთიათასი) ლარისა თითოეულ პროექტზე, დამატებით ეროვნული კინოცენტრი უზრუნველყოფს სცენარის კონსულტანტის მუშაობას გუნდთან. ეროვნული კინოცენტრის მიერ შემოთავაზებული სცენარის კონსულტანტები იქნებიან: დავით ჩუბინიშვილი, გივი (ბესო) ოდიშარია, ირაკლი სოლომანაშვილი. საკონკურსო ფონდი შეადგენს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარს, თუმცა კომისია უფლებას იტოვებს მთლიანად არ გახარჯოს საკონკურსო ფონდი. ეროვნული კინოცენტრი კომისიის რეკომენდაციით დააფინანსებს მაქსიმუმ 5 (ხუთი) პროექტს. გამარჯვებული პროექტის ავტორები ვალდებულები არიან შეასრულონ სცენარის კონსულტანტის რჩევები წინასწარ განსაზღვრული ვადების ფარგლებში. დაფინანსების მიღების შემდეგ, პროდიუსერმა კინოცენტრს უნდა ჩააბაროს, განვითარებული სცენარი (არანაკლებ 80 გვერდისა), ლოგლაინი, სინოფსისი (1 გვერდამდე) და თრითმენტი (8 – 10 გვერდი), ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის სახით, არა უგვიანეს 2013 წლის 30 სექტემბრისა. კონკურსი ტარდება ორ ტურად. პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და აფასებენ დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე. კომისია განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულათა ოდენობას, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად. მეორე ტურში გადავლენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს. პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში, კონკურსს ეთიშებიან. მეორე ტური გულისხმობს ავტორების (პროდიუსერი, სცენარის ავტორი) გასაუბრებას კომისიის

წევრების წინაშე. მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრები აფასებენ პრეზენტაციას და წერენ შესაბამის ქულას. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგენენ კინოცენტრს დასკვნას გამარჯვებულთა რაოდენობასა და დაფინანსების ოდენობის შესახებ. ეროვნული კინოცენტრი არ მიიღებს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთა ავტორებმა (პროდიუსერი და რეჟისორი), ვერ შეასრულეს ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია კონსულტაციების გავლა, რომელიც ჩატარდება ეროვნულ კინოცენტრში“.

კონკურსის მეორე ტურში მონაწილე 12 პროექტს შორის ქულები ასე განაწილდა: „ვენეცია“ (განმცხადებელი -შპს „ნიკე სტუდია“, სცენარის ავტორი – რუსუდან ჭყონია) -59 ქულა; „სხვა გზა“ (განმცხადებელი-ფ/პირი „გურამ მეგრელიშვილი“, სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე) – 57 ქულა; „წერილი შვილს“ (განმცხადებელი -შპს „პალესტრა“, სცენარის ავტორები – თემურ ცაავა, კოტე ჯანდიერი) – 55 ქულა; „ტერცო მონდო“ (განმცხადებელი– შპს „ახალი ქართული ფილმი“, სცენარის ავტორი – მერაბ კოკოჩაშვილი) – 54 ქულა; „გადარჩენის მთა“ (განმცხადებელი – ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, სცენარის ავტორი – დათო ჯანელიძე) – 52 ქულა; „ცხოველების მომთვინიერებელი“ (განმცხადებელი – ი/მ „ვლადიმერ მოქერია, სცენარის ავტორი – დავით ფირცხალავა) – 51 ქულა; „მე სახლში ვარ, შენ გზაში“ (განმცხადებელი– შპს „მიდი ფილმი“, სცენარის ავტორი -მარი გულბიანი) – 49 ქულა; „ფინალში თოვლი“ (განმცხადებელი -ი/მ „ნინო ჟვანია“, სცენარის ავტორი – გივი სამსონაძე) – 49 ქულა; „დედე“ (განმცხადებელი -შპს „20 სტეპს პროდაქშენს“, სცენარის ავტორი – მარიამ ხაჭვანი) – 48 ქულა; „ის, რაც ანგელოზებს ეკუთვნის“ (განმცხადებელი – შპს სტუდია „ო“, სცენარის ავტორი – ზაზა ბუაძე) – 48 ქულა; „ომობანა“ (განმცხადებელი შპს „სტენლი“, სცენარის ავტორი – ვასილ ჯანიკაშვილი) – 45 ქულა; „მკვდარი გზა“ (განმცხადებელი – შპს „შვიდკაცა“, სცენარის ავტორი – გიორგი ბარაბაძე) – 45 ქულა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსებას საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით მიიღებს პირველ ხუთ ადგილზე გასული პროექტი: „ვენეცია“ – 5000 ლარი, „სხვა გზა“ – 5000 ლარი, „წერილი შვილს“ – 5000 ლარი; „ტერცო მონდო“ – 5000 ლარი და „გადარჩენის მთა“ – 5000 ლარი.

ეროვნული კინოცენტრის მიერ 2013 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილია 3 პროექტი. „ნიავქარის მოგონებანი“ (საპროდიუსერო კომპანია — შპს „20 თტეპს პროდაქშენს“, რეჟისორი – ოზჯან ალფერი); „კონკურსი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „კორო ფიქჩერს“, რეჟისორი – დიტო ცინცაძე) და „ცოდვაში“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ესპეეს“ „აკა ფილმსი“, რეჟისორი – უილიამ ოლდროიდ). საექსპერტო კომისიამ, რომელშიც გაერთიანებული არიან მერაბ კოკოჩაშვილი (რეჟისორი), ზურაბ მაღალაშვილი (პროდიუსერი), ზაზა რუსაძე (რეჟისორი) და მარინე კერესელიძე (კინოკრიტიკოსი), გამოავლინეს პირველი ტურის შედეგები. კომისიის წევრების შეფასებით კონკურსის პირველ ტურში ქულები ასე განაწილდა: „ნიავქარის მოგონებანი“ – 118 ქულა; „კონკურსი“ – 122 ქულა და „ცოდვაში“ – 64 ქულა. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით ორი პროექტი გადავიდა მეორე ტურში. კონკურსის მეორე ტურში კი პროექტი „ცოდვაში“ კონკურსს გამოეთიშა. საბოლოოდ კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო და 2013 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული გახდა პროექტი „კონკურსი“ (პროდიუსერი – შპს „კორო ფიქჩერს“, რეჟისორი – დიტო ცინცაძე) 140 ქულით. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსებას საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით მიიღებს პირველ ადგილზე გასული პროექტი – „კონკურსი“ – 250.000 ლარი.

ეროვნული კინოცენტრისა და ევროპული აუდიოვიზუალური პლატფორმის მინი ეივის ორგანიზებით, ქორთიარდ მარიოტში კინოპროექტის განვითარების ტრეინინგ-პროგრამა „მინი ეივი 2013“ ჩატარდა. ტრეინინგ-პროგრამა 3-დღიანი სემინარისა და ონლაინსესიას მოიცავდა. მინი ეივის სემინარი ჩაატარეს გამოცდილმა ექსპერტებმა კინოს სფეროში ჟაკ აკოტიმ (საფრანგეთი) კონსულტანტი სცენარის განვითარების დარგში, იანი ტილჟესმა (ლუქსემბურგი), ეივის ხელმძღვანელი სასწავლო დარგში, პროდიუსერების ტრენერმა რობერტო ოლამ (საფრანგეთი) – ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერის და განვითარების ფონდის „ევრიმაჟის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, როშანაკ ბეჰეშტ ნედჯადმა (გერმანია) – პროექტის წარდგენის ექსპერტმა.

საერთაშორისო ექსპერტთა კომისიამ მინი ეივის ტრეინინგში მონაწილეობის მისაღებად შეარჩია შემდეგი ქართული პროექტები და უპროექტო მონაწილეები: „ადას კინო“ (პროდიუსერი ირაკლი ბაღათურია; სცენარის ავტორი მაკა კუკულავა); „ტერზო მონდო“ (პროდიუსერი ნიკოლოზ აბრამაშვილი; სცენარის ავტორი, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი); „ათინათი“ (პროდიუსერი ლელა აკიაშვილი; სცენარის ავტორი, რეჟისორი ლალი კიკნაველიძე); „თეთრი კურდღელი“ (პროდიუსერი ნიკოლოზ გუგუშვილი; სცენარის ავტორი, რეჟისორი ვაკო კირკიტაძე); „დედე“ (პროდიუსერი ვლადიმერ ჩიხრაძე; სცენარის ავტორი, რეჟისორი მარიამ ხაჭვანი). ასევე უპროექტო მონაწილეები ალექსანდრე ქორიძე, ეკა იოსელიანი, ლევან დვალი, ნინო ჯინჭარაძე, ვატო ქავთარაძე და ვლადიმერ მოქერია.

საერთაშორისო ექსპერტთა კომისიამ „მიკრო სქულ ინტერნეშენალ ჯორჯია“-ს ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად შეარჩია შემდეგი პროექტები: „სხვისი სახლი“ (პროდიუსერი ზურაბ მაღალაშვილი, სცენარის ავტორი, რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე); „ინტერვალი“ (პროდიუსერები ნინო ჯინჭარაძე, ნიკა გუგუშვილი, სცენარისტი ვაკო კირკიტაძე); „ძილის გაკვეთილები“ (პროდიუსერი რუსუდან პირველი; სცენარისტები ალექსანდრე ჩხაიძე, რუსუდან პირველი); „ცივი ჰაერის სიმხურვალე“ (პროდიუსერი ვლადიმერ კაჭარავა, სცენარისტები ირაკლი სოლომანაშვილი, ბესო სოლომანაშვილი); „ხვალ“ (პროდიუსერი, სცენარისტი ქეთი მაჭავარიანი; სცენარისტი ნესტან კვინიკაძე).

კინოექსპერტმა გაბრიელე ბრუნენმეიერმა კინოპროექტების მომზადების, წარდგენის-პიტჩინგის შესახებ ოთხდღიანი ინტენსიური ვორქშოპი და ერთი საჯარო ლექცია ჩაატარა. ვორქშოპი გამიზნული იყო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისათვის, ვისაც აქვს სრული ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროექტი და სურს მოამზადოს პროექტის წარდგენა/პიტჩინგი პროდიუსერებისათვის, პოტენციური დამფინანსებლებისათვის, კინოფესტივალების შესაბამისი სექციებისათვის ან სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ტრეინინგი ლექცია ჩატარდა ქართველი ანიმატორებისთვისაც, რომელიც ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გაიმართა. ტრეინინგი-ლექცია ჩაატარა საფრანგეთში მოღვაწე წარმატებულმა ქართველმა ანიმატორმა გელა პატიაშვილმა. ტრეინინგ-ლექციას ესწრებოდა ასევე ფრანგი ანიმატორი ფრედერიკ დიბოვსკი. ტრეინინგ-ლექ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგენმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგონფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნია შვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

ზაზას მილუოკიში მიესალმებიან

ნბა-ს ყველაზე ცნობილი ქართველი კალათბურთელი ყურადღების ცენტრშია. ზაზა ფაჩულიას „ატლანტადან“ „მილუოკიში“ გადასვლა ხმაურიანი ტრანსფერი არ ყოფილა, თუმცა ამ ფაქტს არაერთი გამოხმაურება მოჰყვა ამერიკულ მედიაში. მილუოკის ერთ-ერთმა გაზეთმა ქართველ ცენტრთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, საიდანაც ზაზასადმი პატივისცემა და მისი გუნდში დაბრუნებით გამოწვეული სიხარული გამოსჭვივის.

ფაჩულია მზადაა, „მილუოკის“ ახალგაზრდა მოთამაშეებს გამოცდილება გაუზიაროს – ასეთი სათაური აქვს სტატიას.

ბოლოს, როცა ზაზა ფაჩულია „ბაქსის“ მაისურით თამაშობდა, მისი თანაგუნდელები მაიკლ რედი, ჯო სმიტი, მო უილიამსი, დესმონდ მეისონი, კეიტ ვან ჰორნი და ტონი კუკოჩი იყვნენ. ეს იყო 2004-05 წლების სეზონი, როცა 20 წლის ფაჩულია ნბა-ში თავის მეორე სეზონს ატარებდა.

გასულ ოთხშაბათს ზაზა მილუოკის კვლავ დაუბრუნდა და კლუბთან 3-წლიანი და 15-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. „მილუოკიდან“ „მილუოკამდე“ ფაჩულია 8 წელი „ატლანტაში“ თამაშობდა.

– მე ვბრუნდები იქ, საიდანაც დავიწყე. ბევრი საერთო მაქვს „ბაქსთან“ და აქ ბევრი რამე არაა ჩემთვის უცხო – ასე იწყებს ფაჩულია ინტერვიუს – დაბრუნება მეტ მოტივაციას მაძლევს. მაშინ მხოლოდ 20 წლის გამოუცდელი კალათბურთელი ვიყავი. ახლა უფრო გამოცდილი და ჩამოყალიბებული პიროვნება ვარ. „ატლანტაში“ ყოფნისას ბევრი ვისწავლე დიდი მწვრთნელებისა და გუნდებისგან. „მილუოკის“ ფანები განსხვავებულ ზაზას იხილავენ.

211-სანტიმეტრიანი და 240-პაუნდიანი ფაჩულია „მილუოკის“ ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელებით დაკომპლექტებულ წინა ხაზს მეტწონას შემატებს. ცენტრი ლარი სანდერსი და ფორვარდები ჯონ ჰენსენი და ეკპე უდოჰი ზაზასგან დიდ გამოცდილებას მიიღებენ. ქართველ ცენტრს ახალგაზრდების სწავლაში ერსან ილიასოვა დაეხმარება.

– გუნდში რომ ლარი და ჯონი გვყავს, ძალიან კარგია, – აგრძელებს ფაჩულია – მათთან მითამაშია და ვიცი, რომ კარგი მონაცემების არიან. მე მათგან სწავლას ვაპირებ, ისინი კი ჩემგან ისწავლიან. ყველას აქვს ისეთი პოზიტური რამ, რაც შეიძლება ნებისმიერ ასაკში შეითვისო. როცა ახალბედა ვიყავი, ხშირად მეკითხებოდნენ: რას უნდა შემატო გუნდსო? ახლა არავის უჩნდება ამ კითხვის დასმის სურვილი. ყველამ იცის პასუხი და იმიტომ.

ფაჩულიამ მარცხენა ფეხის აქილევსის მყესზე გასულ აპრილს ოპერაცია გაიკეთა და ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის. ის ატლანტაში ივარჯიშებს სექტემბრამდე, ვიდრე „მილუოკის“ შეუერთდება.

– მოხარული ვარ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, რთული პერიოდი უკანაა, – სიხარულით აცხადებს ფაჩულია, – ოპერაციის შემდეგ რამდენიმე თვე ძალიან მძიმე იყო. ახლა რეაბილიტაციის პერიოდი მიდგას და ფორმაში ვდგები. ყველაფერი კარგად მიმდინარეობს და სექტემბრისთვის, როცა „ბაქსის“ საწვრთნელი კემპი დაიწყება, 100 პროცენტით მზად ვიქნები.

ტრავმა ფაჩულიას საშუალებას არ აძლევს, საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსება ევროპის ჩემპიონატზე დაიცვას:

– ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემი ქვეყნის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დავეხმარები. მთელი ზაფხული გამიცდა და ბევრი უნდა ვიშრომო, რომ ფორმა აღვიდგინო, – სინანულით ამბობს ზაზა.

ფაჩულია იყო „ატლანტას“ ნახევრად-სასტარტო ცენტრი. 556-დან 226 მატჩში ფაჩულიამ ხუთეულში ითამაშა. ზაზას „ატლანტას“ მაისურით 40 საალეიოფო შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა, თუმცა ბოლოს ის ტრავმის გამო გუნდს ვერ დაეხმარა. ქართველი ცენტრი ატლანტელი გულშემატკივრების საყვარელი მოთამაშე იყო.

– მათ მე არ ვიცნობ, მაგრამ შეგრძნება მაქვს, რომ „ატლანტას“ ყველა ფანს პირადად ვიცნობ. გამიმართლა, რომ 8 წლის მანძილზე ვიმყოფებოდი ძალიან კარგ ატმოსფეროში, კარგ გუნდში. პატივისცემა არ მოსულა 1 დღეში, 1 მატჩში, პირველ საპლეიოფო შეხვედრაში. ვფიქრობ, ყველაზე მაგარი მიმდევრები „ტვიტერში“ მე მყავს, რომლებიც 40.000 შეადგენენ. ბევრ კალათბურთელს უფრო მეტი ჰყავს, თუმცა მე ჩემი მიმდევრების მეამაყება. მათ განსაკუთრებული ადგილი აქვთ ჩემს გულში.

ფაჩულია სიყვარულით იხსენებს „მილუოკიში“ გატარებულ ერთადერთ სეზონს, მიუხედავად იმისა, რომ ტერი პორტერის ხელმძღვანელობით „ბაქსმა“ მაშინ რეგულარული 52 წაგებით დაასრულა. წლების მანძილზე „ჩიკაგოში“ მაიკლ ჯორდანთან ნათამაშევმა ტონი კუკოჩმა კარიერის ბოლო სეზონი „მილუოკიში“ გაატარა. ფაჩულიაზე ხორვატმა კალათბურთელმა დიდი გავლენა მოახდინა.

– დიდი პატივია ჩემთვის, რომ ვიყავი ტონი კუკოჩის თანაგუნდელი. ის ბევრ რამეში მეხმარებოდა. ბევრ რამეს ვსწავლობდი მისგან. ის ძალიან ბრაზდებოდა, როცა ვაგებდით და მისი მე ახლა უფრო მეტად მესმის.

ფაჩულია კმაყოფილია იმით, რომ „მილუოკიში“ მას „ატლანტას“ ყოფილი სამწვრთნელო შტაბის წევრები დახვდებიან. ლარი დრიუსთან და მის ასისტენტ ბობ ბენდერთან ერთად ფაჩულია „ატლანტაში“ 3 წლის მანძილზე საკმაოდ ბევრს და ბეჯითად ვარჯიშობდა.

– ისინი კარგად მიცნობენ, – აცხადებს ფაჩულია, – მათ თვალწინ გავიზარდე. ლარი დრიუ ჩემი კარიერის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მომენტის მომსწრეა. გარდა ამისა, მე ვახსოვართ „მილუოკის“ ხელმძღვანელებსაც. კლუბის მფლობელ სენატორ კოლს, ასევე ორგანიზაციის არაერთ წევრს.

ფაჩულია მილუოკიში ოჯახთან ერთად მოდის. მისი მეუღლე თიკა და 3 შვილი მილუოკიში იცხოვრებენ. დავითი ოქტომბერში 5 წლის ხდება, საბა სექტემბერში 4-ის გახდება, ხოლო ქალიშვილი მარიამი ჯერ მხოლოდ 1 წლისაა.

– ისინი არიან ჩემი პირველი გულშემატკივრები, – ამბობს საკუთარ შვილებზე ზაზა ფაჩულია.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲯᲝᲜᲐᲗᲐᲜᲘᲡ ᲝᲥᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

პანამა-კუბა	6:1
მექსიკა-ტრინიდადი	1:0

ᲒᲘᲨᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

პადერბორნი-კაიზერი	0:1
დინამო-კიოლნი	1:1

ᲰᲣᲡᲔᲗᲘ. ᲨᲘᲛᲘᲠᲘᲒᲐ

ტომი-ყუბანი	1:2
ვოლგა-ლოკომოტივი	1:2
ტერეკი-ამკარი	1:1
რუბინი-ზენიტი	2:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.დინამო	2	1	1	0	4-3	4
2.ლოკომოტივი	2	1	1	0	4-3	4
3.ყუბანი	2	1	1	0	3-2	4
4.ამკარი	2	1	1	0	3-1	4
5.როსტოვი	1	1	0	0	2-1	3
6.სპარტაკი	1	1	0	0	2-1	3
7.ზენიტი	1	1	0	0	2-1	3
8.ურალი	1	0	1	0	2-2	1
9.ცსკა	1	0	1	0	2-2	1
10.ვოლგა	2	0	1	1	3-4	1
11.ანჟი	2	0	1	1	3-4	1
12.რუბინი	1	0	1	0	1-1	1
13.ტერეკი	2	0	1	1	2-3	1
14.ტომი	2	0	0	2	1-4	0
15.კრ.სოვეტოვი	1	0	0	1	1-2	0
16.კრასნოდარი	1	0	0	1	1-2	0

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲘᲚᲘ�გᲐ

არაუ-ლუცერნი	4:2
ლოზანა-იანგ ბოიზი	1:3

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ

აუსტრია-ადმირა	2:0
ნოიშტადი-ზალცბურგი	1:5
ვოლსბურგერი-რაპიდი	2:2
გრიოდიგი-რიდი	0:0

ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲯᲘᲡᲐ

ზავიშა-იაგელონია	0:1
ლეგია-ვიძევი	5:1

ᲔᲗᲘᲠᲘᲜᲘ. ᲰᲘᲛᲘᲠᲘᲒᲐ

ჰოვერლა-დინამო	1:2
არსენალი-მეტალისტი	1:2
მეტალურგი(დ)-კარპატი	1:1

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲘᲚᲘᲗᲐ

ვიბორგი-რანდერსი	2:2

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ. ᲕᲔᲘᲯᲐᲣᲡᲚᲘᲗᲐ

როვანიემი-ჰიკი	0:0

ᲐᲛᲨ. ᲛᲪᲘ

სიეტლი-კოლორადო	1:1
ტორონტო-ნიუ იორკი	0:0
მონრეალი-დალასი	0:0
კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი	0:2
ფილადელფია-პორტლენდი	0:0
ჩიკაგო-დ.ს.იუნაიტედი	4:1
სოლტ ლეიკი-კანზასი	1:2
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი	2:1

ᲑᲐᲰᲐᲖᲘᲚᲘᲐ. ᲡᲣᲰᲘᲐ Ა

ბოტაფოგო-ნაუტიკუ	2:0
კრისიუმა-გრემიო	2:1
სან პაულუ-კრუზეირუ	0:3

ᲪᲔᲪᲐᲫᲔ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 0:0

საქართველო: თებიძე, მთივლიშვილი, ნ.ჭანტურია, სანდოხაძე, დვალი, ცნობილაძე, ენდელაძე, მარკოზაშვილი (კაჭარავა 77), არაბული, ფანცულაია, ზივზივაძე (ზარანდია 64)

საფრანგეთი: ბენარდო, იკოკო, მენდი, კონტე, როდრიგესი (გბამინი 80), იუნუ, ბენზია, ნანჟი, რაბიო, ლაპორტი, მარტიალი (ნგუეტი 66)

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების სადებიუტო მატჩი ევროპის ჩემპიონატზე ძალიან დაძაბული და მძიმე აღმოჩნდა, თუმცა, ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ ფრანგებს მოედნიდან სულაც უქულოდ გავუშვებდით.

ჩვენს მოწინააღმდეგეს მართლაც რომ ძლიერი და კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავს, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ისეთი ჟინიანი და აზრიანი თამაში აჩვენა, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფრანგთა გამოცდილმა მწვრთნელმა ფრანსის სმერეცკმა ჩვენი გუნდის მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა.

ფრანსის სმერეცკი:

– ფიზიკური დატვირთვების მხრივ ძალიან მძიმე მატჩი იყო და ამ თვალსაზრისით ჩემი ფეხბურთელებით უკმაყოფილო ვარ. როცა შანსი გვქონდა, ვერ გამოვიყენეთ. ასე რომ, ფრე სამართლიან შედეგად მიმაჩნია. საქართველოს ძალიან სიმპათიური და კარგად ორგანიზებული გუნდი ჰყავს, შეტევის ხაზში კი რამდენიმე ინდივიდუალისტი აშკარად გამოსარჩევია. მე სხვა ფეხბურთელებიც მომეწონა. ისე, დღევანდელი მატჩის შედეგი ჩვენ შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს.

მატჩს საკმაო რაოდენობით გულშემატკივარი დაესწრო. მრავლად იყვნენ ქართველებიც და ჩვენს ნაკრებს გამხნევება და ქომაგობა არ მოჰკლებია. თამაშზე მივიდნენ ლატვიასა და ლიტვაში საქართველოს ელჩები, კონსულები და საელჩოს თანამშრომლები. ლიტვაში მყოფებიან სფფ-ის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, ტექნიკური და სპორტული დირექტორები, აღმასკომის ოთხი წევრი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია.

თავად მატჩი კი ერთგვარ ეპიზოდებად იყო დაყოფილი, როცა ხან ერთი გუნდი იწვევდა გულშემატკივართა ოვაციას და ხანაც – მეორე. უხარისხოდ ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ მატჩის მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრებმა ფიზიკური მომზადების მაღალი დონე აშკარად გამოავლინა. ფრანგებს კი გადაღლა შეტევების ქაოტურობაში დაეტყოთ. მძიმე ორთაბრძოლები და ბრძოლები გადაიტანა ჩვენმა დაცვის ხაზმა. შეცვლაზე შემოსულმა ნიკა კაჭარავამ კი ფრანგები კინაღამ უქულოდ დატოვა. 82-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში კარგად გათამაშებული ბურთი ნაკრების 11-მა ნომერმა კარში დაარტყა და მეკარემ ბოლო წამსღა მოასწრო თითით მისთვის სიჩქარე შეენელებინა. ბურთი კარისკენ ნელა და უცნაურად წავიდა და კარის ხაზზე რამდენიმე წამი იბზრიალა... ტრიბუნებზე ბევრს გოლი ეგონა, თუმცა, სამწუხაროდ, მეტოქემ დაგვასწრო და ბურთი გამოიტანა.

საბრძოლო 0:0 სადებიუტო შეხვედრაში, საფრანგეთის ნაკრებთან... მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შედეგით უკმაყოფილებას არ მალავდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

გია ცეცაძე:

– კარგი თამაში გამოვიდა და შეიძლებოდა, საჩვენოდაც დამთავრებულიყო და ფრანგებსაც მოეგოთ. პირველ ტაიმში ჩემი გუნდის თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ. განსაკუთრებით წინა ხაზით. რაღაც კონცენტრაცია დაგვაკლდა, ნაკლებად მოძრაობდნენ და ზუსტად ამით ვარ უკმაყოფილო. ვეცდებით, რომ სერბეთთან მატჩამდე უფრო მეტი ვიმუშაოთ, მსგავსი შეცდომები გამოვასწოროთ და ის შეხვედრა გამარჯვებით დავასრულოთ. მეორე ტაიმს არა უშავდა, თუმცა, რომ ვთქვა, 100 პროცენტით კმაყოფილი ვარ, თავს მოვიტყუებ და არც მივცემ ჩემს თავს მაგის თქმის უფლებას. უფრო მეტი მინდოდა და მეტს ველოდი... მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, ერთი თამაშით არ განისაზღვრება ყველაფერი და ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ შემდეგ და შემდეგ ეტაპებზე გავიდეთ. ტურნირი გრძელდება და ვეცდებით, ჯგუფური ეტაპის დარჩენილი მატჩებიდან ქულათა მაქსიმუმი გამოვწუროთ. მდგომარეობა ცოტა გავირთულეთ, რადგან 3 ქულის აღების შემთხვევაში, საქმე უფრო იოლად იქნებოდა. ამ შედეგით, მეთავს მოგებულად არ ვთვლი და ფრანგების არ ვიცი... ამპარტავნობაში არავინ ჩამომართვას, საფრანგეთის ნაკრებთან ფრე ითამაშა და უკმაყოფილოაო, მაგრამ მართლა ასე ვარ... თამაშის ხარისხმა არ დამაკმაყოფილა. ეს მთელი პროცესია – ბიჭები პირველად თამაშობენ ევროპის ჩემპიონატზე. შესარჩევი სხვაა, ელიტრაუნდიც... ეს კი, ევროპის ჩემპიონატია. სხვა ქვეყნებივით ხუთჯერ და ექვსჯერ რომ მოვხვდებით ფინალურ ეტაპზე, მაშინ სხვა სიტუაცია იქნება. მოკლედ, ჩვენ ამ შედეგით არ მოგვიგია და არც წაგვიგია – ქულა ავიღეთ. ძალიან გვაკლდნენ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები. სამუშაო ნაკრებისთვის დიდი ძალაა და უბილავაც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. თუმცა, თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციებიდან გამომდინარე, ჩვენთან ყველა ფეხბურთელი ძირითადია. ამის ნათელი მაგალითი ელიტრაუნდი იყო. სერბეთთან ძალიან პრინციპული მატჩი გველოდება. მათ თურქები დაამარცხეს. რა თქმა უნდა, შევუტევთ და მათ დამარცხებას ვეცდებით. ფრეზე თამაში საქართველოს ნაკრებისთვის დამღუპველი იქნება – მე ასე მგონია. გამოვალთ და ჩვენს თამაშს ვითამაშებთ. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით – 23-ში თავად ნახავთ... აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდის კარგ ფიზიკურ კონდიციებში. როცა გუნდში თემურ ლორთქიფანიძე გყავს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. თან, მატჩებს შორის დასვენება 2 დღეა და ბიჭები აღდგენას და დასვენებას კარგად მოასწრებენ.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში, ყველასათვის მოულოდნელად, სერბებმა თურქები დაამარცხეს – 2:1 და 3 ქულით ჯგუფის ლიდერები არიან. ასე რომ, 23 ივლისის მატჩს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. 21 ივლისს ნაკრებს დილით აღდგენითი ვარჯიში ექნება, შემდეგ კი გუნდი მთელი დღის განმავლობაში დაისვენებს.

ა ჯგუფში ლიტვამ დამატებული დროის უკანასკნელ წუთზე გაშვებული გოლით წააგო ჰოლანდიასთან – 2:3, ხოლო ესპანელებმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს პორტუგალია – 1:0.

საქართველოს ნაკრები დაქვეითდა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ელიტიდან გავარდა და მომავალ წელს ბ დივიზიონში იასპარეზებს. დავით უსტიაშვილის განვრთნილი გუნდისთვის ეს ამბავი უკრაინასთან წაგების შემდეგ გაირკვა. 17-20 ადგილებისთვის საკვალიფიკაციო შეხვედრების პირველი მატჩი ქართველებმა უკრაინასთან წააგეს, რის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას ბოლო 3 გუნდს შორის დაასრულებენ.

ბ დივიზიონში გავარდა მასპინძელი ესტონეთიც, რომელმაც საკვალიფიკაციო დაპირისპირება ჩეხეთთან 68:94 დათმო.

საქართველოს ნაკრები სლავებს იტალიაში, დომეჯიდი კადორის ტურნირზე შეხვდა და 75:68 დაამარცხა. ქართველები ახლაც იბრძოლებდნენ მოსაგებად, თუმცა იმ შემადგენლობიდან ტრავმის გამო 2 წამყვანი მოთამაშე აკლდა – გიორგი ცირეკიძე და ნიკა რამიშვილი. ლიდერმა ბექა ბურჯანაძემ კი ტურნირი საერთოდ გამოტოვა. ასეთი დანაკლისით უსტიაშვილის გუნდს უკრაინასთან შანსი არ ჰქონია და შეხვედრა 47:75 დათმო.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა მასპინძელ ესტონეთთან მატჩით დაასრულა. დავით უსტიაშვილის გუნდმა ტურნირის ბოლო შეხვედრაც წააგო. თითქმის განახევრებული შემადგენლობით მოთამაშე ქართველებმა ესტონეთთან 70:79 დათმეს.

შეხვედრას ინტრიგა აკლდა, რადგან ორივე ეს გუნდი ბ დივიზიონში გავარდა და ამ მატჩით ტურნირის ბოლო 2 ადგილს ინაწილებდნენ. მასპინძლებმა საკუთარი ქომაგების თვალწინ მოინდომეს და საქართველოს ნაკრები დაამარცხეს. დავით უსტიაშვილმა ეროვნული ნაკრების კანდიდატი ოთო ფხაკაძე არ ათამაშა, ხოლო მეორე კანდიდატი რევაზ როგავა მოედანზე 6 წუთი გამოჩნდა.

საქართველოს ნაკრებში 18 ქულით საუკეთესო ირაკლი მიქელაძე გახლდათ, ნოდარ გოგოძემ 12 დააგროვა, ხოლო კახა ჯინჭარაძემ ტურნირზე თავისი პირველი ორმაგი დუბი მიითვალა – 12 ქულა, 13 მოხსნა. ესტონელთა შორის 20 ქულით საუკეთესო მარტინ პაასოია გახლდათ.

უნდა ვთქვათ, რომ ასეთი კატასტროფული გამოსვლა, უდავოდ განხილვის საგანი უნდა გახდეს. პრობლემა, შესაძლოა, ბევრი მიზეზი იყოს – დაწყებული ბავშვთა კალათბურთში არსებული პრობლემებით, მწვრთნელ-ფედერაციის მუშაობით დასრულებული.

„დინამო“–„სტიაუას“ მატჩამდე

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრის შემდეგ, გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ სავარუდო მეტოქე რუმინულ „სტიაუასა“ და მაკედონიური „ვარდარის“ წყვილში გამარჯვებული იქნება. პირველი მატჩი „სტიაუას“ გამარჯვებით, 3:0 დასრულდა და განმეორებითი შეხვედრის წინ, მომდევნო ეტაპზე გასვლის ფავორიტი სწორედ ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდია.

დუშან უჰრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– „სტრეიმურის“ ძლევის შემდეგ ჩვენი გუნდის მეტოქე, სავარაუდოდ, „სტიაუა“ იქნება. მათ შინ დიდი ანგარიშით იმარჯვეს. დღევანდელი სტიაუას შესახებ მცირე ინფორმაციას ვფლობ. განვლილ სეზონში წარმატებით გამოვიდნენ ევროპის ლიგაზე. გუნდში ძირითადად რუმინელი ფეხბურთელები თამაშობენ. რამდენიმე მათგანი – ლატოვლევიჩი, ნიკოლიჩი, ბორჩანუ ჩემთან თამაშობდნენ „ტიმოშარაში“. „სტიაუას“ პრაქტიკულად ყველა საშინაო თამაშზე სრული ანშლაგია და იმედი მაქვს „დინამო არენას“ ტრიბუნებიც გაივსება რუმინელებთან შეხვედრის დროს. რუმინეთში მუშაობის პერიოდში არასდროს წამიგია „სტიაუასთან“.

ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება, თუ გავიგებთ, რას ფიქრობენ, „სტიაუას“ მთავარი მწვრთნელი 37 წლის, ლაურენტიუ რეგენკამფი და კლუბის გენერალური მენეჯერი მიჰაი სტოიკა მოსალოდნელ ქართულ-რუმინულ დაპირისპირებაზე.

ლაურენტიუ რეგენკამფი:

– „დინამო“ ნამდვილად ძლიერი მეტოქეა, მე ვნახე მათი თამაში „შახტარის“ წინააღმდეგ. მათ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც ნებისმიერ მეტოქეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან. წინ ორი რთული მატჩი გველის, თუმცა ჯერ „ვარდართან“ თამაშზე უნდა ვკონცენტრირდეთ. ამ ბარიერის გავლის შემდეგ კი საკმო დრო გვექნება „დინამოზე“ სასაუბროდ და მეტოქის უკეთ შესასწავლად.

მიჰაი სტოიკა:

– ჩვენ ფავორიტები ვართ. მოხარული ვარ, რომ პირველ მატჩს სტუმრად გავმართავთ. თუმცა ის, რომ „დინამოსთან“ მოგვიწევს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში, ეს განსაკუთრებული სიხარულის საბაბს არ გვაძლევს. „დინამო“ გაცილებით ძლიერი მეტოქეა, ვიდრე „ვარდარი“. მათ ჰყავთ ძალიან კარგი მეკარე, რომელიც ეროვნული ნაკრების პირველი კიპერია და ჩემპიონატის ორი ბომბარდირი.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

სალომე ქათამაძე იურმალაშია

ეკა ირემაშვილი

5-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს წარმომადგენელი იურმალაში გამართულ კონკურსზე „ახალი ტალღა“ დაბრუნდა. წელს ჩვენს ქვეყანას ამ კონკურსზე სალომე ქათამაძე წარადგენს, რომელიც „ახალი ქართული ხმის“ გამარჯვებულია.

საქართველომ ამ კონკურსში ბოლოს მონაწილეობა 2008 წელს მიიღო. დუეტმა „ჯორჯიამ“ ჩვენს ქვეყანას წარმატება მოუტანა და პირველი ადგილი დაიმსახურა, თუმცა აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ამ კონკურსში საქართველოს თავისი წარმომადგენელი აღარ გაუგზავნია.

წელს ქართველი კონკურსანტის შესარჩევად თბილისში კონკურსის ოფიციალური წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. საქართველოში კომპოზიტორ იგორ კრუტოის მიერ დაარსებულმა კომპანიამ „არსი“ ჯგუფის წევრები გამოგზავნა, მათ შორის, ბრენდონ სტოუნი იგივე ბესო შპეტიშვილი და ვალერი მელაძე. შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 47-მა მსურველმა, მათ შორის სალომე ქათამაძემ, თემო საჯაიამ, ნინი ცნობილაძემ. თბილისში იმყოფებოდა ვალერი მელაძე, აღექსანდრე რევზინი და მათ წლევანდელი „ახალი ტალღისთვის“ შეარჩიეს ორი კანდიდატი – ნინი ცნობილაძე და სალომე ქათამაძე. კიევში სალომემ იგორ კრუტოის აღფრთოვანება შეძლო და საბოლოოდ გადაწყდა, რომ წელს საქართველოს იურმალაში სალომე ქათამაძე წარადგენდა.

ქართული დელეგაცია უკვე იურმალაშია. სალომე ქათამაძესთან ერთად კონკურსზე იმყოფებიან დუეტი „ჯორჯია“, კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე და დელეგაციის სხვა წევრები. წლევანდელი კონკურსის მონაწილეები სამ ტურში იმღერებენ. ეროვნულ ტურში სალომე ქათამაძე რუსა მორჩილაძის სიმღერას დუეტ „ჯორჯიასთან“ ერთად შეასრულებს, ხოლო მსოფლიო ჰიტების ტურში – „ბოიზ თუ მენის“ სიმღერას.

რეპეტიციები კონკურსის დაწყებამდე 10 დღით ადრე ჩაინიშნა. სალომე ქათამაძე იურმალაში კომპოზიტორ რუსა მორჩილაძესთან ერთად იმყოფება. მას რეჟისორებთან მოუწევს მუშაობა სასცენო მოძრაობების შესასწავლად. მოგვიანებით მას დათო ოქიტაშვილი, ნატო დუმბაძე, სოფო ხალვაში, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი მაკა საჯაია და სხვა გულშემატკივრები შეუერთდებიან.

სალომესთვის ეს პირველი კონკურსი არ არის. მას უკვე აქვს საკონკურსო გამოცდილება. მომღერალმა მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში „ბათუმი გოლდენ ტალენტი“, სადაც მეორე ადგილი დაიმსახურა. წელს მან „ახალი ხმის“ პირველი სეზონი მოიგო, „ახალი ტალღის“ საქართველოს წარმომადგენელიც გახდა, ახლა კი ყველაფერი თავად სალომეზეა დამოკიდებული.

კონკურსის პარალელურად, ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და იურმალაში მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჩაფრინდებიან. წელს რუსული შოუბიზნესი იურმალაში ლეონიდ აგუტინის შემოქმედებით საღამოს მოაწყობს, სადაც დუეტი „ჯორჯიაც“ მიიღებს მონაწილეობას და აგუტინის სიმღერას შეასრულებს. მუსიკალური ფესტივალი „ახალი ტალღა 2013“ წელსაც ძინტარის სცენაზე 23-28 ივლისს გაიმართება.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფოტოები ეროვნულ არქივშია

ეკა ირემაშვილი

საზაფხულო სკოლის „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“ ფარგლებში ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში სპეციალური გამოფენა გაიხსნა.

ეროვნული არქივის წარმომადგენლის თეა ქიმერიძის თქმით:

– ექსპოზიციაზე წარმოდგენილია პირველი რესპუბლიკის პერიოდის ფოტო და წერილობითი მასალა, რომელიც ასახავს 1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მათ შორის არის საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის მასალები, სახალხო გვარდიელთა ფოტოები, საზეიმო აღლუმები, საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ვიზიტი და სხვა მნიშვნელოვანი ფოტოები.

მისივე თქმით, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ეროვნულ არქივში საზაფხულო სკოლა გაიხსნა. სკოლას 20 მსმენელი ჰყავს, მათ შორის უცხო ქვეყნის – 15 და საქართველოს – 5 მოქალაქე. ღონისძიების მიზანია უცხოელი და ქართველი მონაწილეებისათვის საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ყოფის გაცნობა; უცხოელ მეცნიერთა ინფორმირება საქართველოსა და კავკასიის რეგიონის შესახებ ეროვნულ არქივში დაცულ, 1918-1921 წლების დოკუმენტებზე; ღევინისა და ჰარვარდის კოლექციებში არსებული მასალების მნიშვნელობის წარმოჩენა რეგიონის ისტორიის კვლევისათვის; უცხო ქვეყნის სამეცნიერო წრეებში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ცნობადობის ამაღლება და ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის კონტაქტების გაღრმავება.

თეა ქიმერიძის განცხადებით, გამოფენა ეროვნულ არქივში 23 ივლისამდე გაგრძელდება და მისი დათვალიერება თავისუფალია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ჯანდიერმა და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა საზაფხულო სკოლა „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“ გახსნეს. საზაფხულო სკოლას საქართველოს ეროვნული არქივი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით აწყობს.

დავით ჯანდიერმა სკოლის გახსნისას აღნიშნა, რომ ქართველი და უცხოელი მკვლევარები გაეცნობიან საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, კონსტიტუციის მიღების პერიოდს, რომელსაც დღეს მოქმედი კონსტიტუცია ეყრდნობა.

თეონა იაშვილის თქმით, საზაფხულო სკოლის მსმენელთა შერჩევა რთული აღმოჩნდა, ვინაიდან დაინტერესება ძალიან დიდი იყო როგორ უცხოელ, ისე ქართველ მკვევართა შორის. ეროვნული არქივი გეგმავს, მომავალში ეროვნულ საარქივო ფონდში დაცული მასალების შესახებ კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიება გამართოს.

– საზაფხულო სკოლის მონაწილეებს წამყვანი ქართველი სპეციალისტები 7 დღეში ჩაუტარებენ 23 ლექციას, რომლებიც დაიყოფა 5 მოდულად: საქართველოს პირველი დემოკრატიული ინსტიტუტები; საქართველო და გარესამყარო; საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორია; ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, ადამიანის უფლებები, პრესა; პერსპექტივები, სამომავლო კვლევის დაგეგმვა. ამასთან, მსმენელთათვის გათვალისწინებულია კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და მუზეუმების დათვალიერება. მონაწილეები გაეცნობიან საარქივო დოკუმენტებს, შესაბამისი პერიოდის აუდიოვიზუალურ მასალას, – განმარტა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

პროექტის ფარგლებში ლექციებს წაიკითხავენ ქართველი მეცნიერები, პროფესორები დიმიტრი შველიძე, ოთარ ჯანელიძე, მალხაზ მაცაბერიძე; ახალგაზრდა მეცნიერები – ისტორიის დოქტორანტები ბექა კობახიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, დიმიტრი სილაქაძე, ასევე, ეროვნული არქივის თანამშრომლები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ასათიანი, ანტონ ვაჭარაძე და ნინო ძანძავა.

რა აშენდება „მხატვრის სახლის“ ადგილზე?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნიანება და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფიციალური განხილვების დროს, ჩვენი სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, აღნიშნულ პროექტს არაერთხელ ეთქვა უარი, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ მხოლოდ კონკურსის მოწყობისა და ფართო, საჯარო განხილვების შედეგად შეიძლება იქნეს გამოვლენილი ამგვარი ღირსშესანიშნავი ადგილისთვის შესაფერისი პროექტი, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება ღრმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, გაითვალისწინებს ძეგლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ყველა კრიტერიუმს და შესაბამისად, მომავალი შენობა, ორგანულად ჩაეწერება არსებულ სივრცეში.

ყოველივე ზემოაღნიშნული, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად საჩქაროა და აუცილებელი, რომ თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა თუ დამცავ ზონებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დაუბრუნდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს“.

ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსის შედეგები გამოაქვეყნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ცია შეეხებოდა შემდეგ თემებს: საავტორო ფილმები და ანიმაციის ინდუსტრია, პროექტის კრიტერიუმები, ლიტერატურული ნაწარმოების ადაპტაცია ანიმაციაში, კომერცია თუ ხელოვნება, ტექნოლოგიური ჯაჭვი: (იდეა; პერსონაჟები; ისტორია; სცენარი), გრაფიკული სტილი, დიალოგები, რეჟისურა. ტრეინინგზე ნაჩვენები იყო ევროპაში ბოლო პერიოდში წარმოებული წარმატებული ანიმაციური ფილმები. ტრეინინგზე ქართველი ანიმატორებისთვის დასწრება თავისუფალი იყო.

ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში ეროვნულმა კინოცენტრმა ჟურნალ „ფილმ პრინტ“-ის მერვე ნომრის პრეზენტაცია. გაზაფხული-ზაფხულის ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები მარინა კერესელიძე და ლატავრა დულარიძე. ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში. ახალ ნომერში აქცენტი ტრადიციულად გაკეთდა ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფზე: მრგვალი მაგიდა – ქართული კინოს პრობლემატიკა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უფროსი და ახალი თაობის ქართველმა კინემატოგრაფისტებმა. რუბრიკაში „წარმოება დღეს“ განთავსებულია რეცენზიები ნანა ექვთიმიშვილის და ზაზა რუსაძის სადებიუტო ფილმების წარმატების შესახებ და ინტერვიუები ახალგაზრდა რეჟისორებთან. ჟურნალშია პირველი ინტერვიუ რეჟისორ ნანა ჯანელიძესთან, რომელიც მან ახალ ამპლუაში – ეროვნული კინოცენტრის დირექტორის რანგში მისცა. ნომერშია სტატია ლევან აბაშიძეზე. სპეციალური რეპორტაჟი კი ეთმობა გიორგი დანელიას ახალ პროექტს: „კუ! ქინ-ძა-ძა“. „ფილმ პრინტის“ მერვე ნომერში განთავსებულია სტატია თანამედროვე ტექნოლოგიებზე კინოში, რომელიც სამ განსხვავებულ ჭრილშია განხილული.

იტალიაში კი ჯიფონის ბავშვთა კინოფესტივალზე წელს მონაწილეობას სამი ქართველი მოსწავლე მიიღებს – ელენე ლაბაძე, თემურ მაღრაძე და ირაკლი გოგიბერიძე.

როგორც ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალი 1971 წლიდან ყოველწლიურად იმართება იტალიის სოფელ ჯიფონიში. ფესტივალს დიდი ისტორია აქვს და მასში მხოლოდ ბავშვები მონაწილეობენ. წლევანდელი ფესტივალის მონაწილეები კინოცენტრის მიერ სხვადასხვა სკოლიდან შეირჩნენ. მოსწავლეების შესარჩევად ორი მთავარი კრიტერიუმი იყო: კინოსფეროში გარკვეული ცოდნა და ინგლისური ენის კარგად ფლობა. ქართველი ბავშვები ფესტივალზე ჟიურიში იქნებიან და მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 16+ და 13+ ჟიურის წევრების პროგრამებში. მათი ძირითადი მოვალეობა იქნება ფილმების ნახვა და ფილმების განხილვაში მონაწილეობის მიღება. გარდა ძირითადი მოვალეობისა, დაგეგმილია უამრავი კულტურული ღონისძიება, შეხვედრები სხვადასხვა კინოპროფესიონალთან. საქართველო ჯიფონის ფესტივალზე წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალის მსვლელობისას ბავშვები იტალიელი მეგობრების ოჯახებში იცხოვრებენ. ეროვნული კინოცენტრის მისიაა, თვალი ადევნოს ფესტივალის მსვლელობას და მოამზადოს ნიადაგი სამომავლოდ მსგავსი ფესტივალის საქართველოში ჩასატარებლად. ამ მიზნით დაგეგმილია შეხვედრები. ჯიფონის კინოფესტივალი იტალიაში 28 ივლისამდე გაიმართება.

სჯანვოხდი



1. უსარგებლო, ზედმეტ ტვირთზე იტყვიან; 2. იტალიური ღვეზელი; 3. ... ჩაპლინი; 4. ხაჭაპურის სახეობა; 5. სოფელი გორის რაიონში; 6. კუდიანი ვარსკვლავი; 7. სიმინდის გამხმარი ღერო და ფოთლები; 8. შინაური ფრინველი; 9. სამეტყველო ორგანო; 10. საგნის კონტური; 11. მუხის ნაყოფი; 12. ლარი; 13. ჩეხური ავტომარკა; 14. გოეთეს დრამა; 15. ... ბოლდუინი; 16. ... სინიორე; 17. მილიუტინის ოპერეტა; 18. ქალბატონი (ინგლისურად); 19. ... კორო; 20. ... ბუაჩიძე; 21. ... უძიაკუ (იაპონელი მწერალი); 22. სამოსქვეშა არე გულმკერდთან; 23. სოფელი რაჭაში; 24. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 25. ფეთქებადი ნივთიერება; 26. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 27. გაზაფხულის თვე; 28. მზის სისტემის პლანეტა; 29. ბოლო ნოტი; 30. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები; 31. ზოლას რომანი; 32. ვაგონების სადგომი; 33. ნაბიჯი ბალეტში; 34. ხორციანი კორკოტი; 35. იუპიტერის თანამგზავრი; 36. ლორნეტი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაჰატმა; 2. სქემა; 3. სამანგიო; 4. ლიკანი; 5. სტატორი; 6. სიზმარი; 11. ზაირი; 13. რანდევუ; 14. ორიფლეიმი; 15. სტრატეგია; 17. ლაზერი; 18. ბატატი; 19. პერო.

თარაზულად: 7. დალაქი; 8. პალიასტომი; 9. ხანუმი; 10. კაშალოტი; 12. ტავრომახია; 14. ონიქსი; 16. კლინკერი; 18. ბრიატორე; 20. მტილი; 21. ეტა; 22. რექვიემი; 23. მაგო; 24. როზარიუმი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კარიერი; 2. ბინომი; 3. გრეიდერი; 4. ბეკერელი; 7. კონვეიერი; 8. სკვიმნია; 12. კაპილარი; 14. მარიფათი; 16. ჰერაკლე; 17. კლიმატი; 19. ბატე; 20. კოკი.

თარაზულად: 5. ბახთიარი; 6. ვირსალაძე; 9. მერანო; 10. მიკადო; 11. ზვარე; 13. ცაიში; 15. ცაბაძე; 18. ჰეკლა; 21. კარდინალი; 22. კალორია; 23. დემეტრე.

რატომ გაათავისუფლეს ირაკლი ქველაძე იუსტიციის სახლიდან

გულიკო ბალაძე

ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, რა ხდებოდა იუსტიციის სახლში ახალი ხელისუფლების მოსვლამდე. აშკარაა, რომ სააკაშვილის ნაქებ იუსტიციის სახლში დარღვევები იყო, რის თაობაზეც ახალ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ირაკლი ქველაძემ მოახსენა და სათანადო დოკუმენტაციაც გადასცა.

ამასთან, როგორც „ახალგაზრდა ადვოკატები გვამცნობენ, ირაკლი ქველაძე განსხვავებული აზრის მატარებელი ყოფილა. ამიტომ, „ახალგაზრდა ადვოკატები“ განცხადებით, თეა წულუკიანთან იუსტიციის სახლის ხელმძღვანელების მხილების გამო იუსტიციის სახლის ხანგრძლივი სივრცის ოპერატორი ირაკლი ქველაძე სამსახურიდან დაითხოვეს.

უფრო კონკრეტულად, ირაკლი ქველაძე იუსტიციის სახლში არსებული პრობლემების გასაჯაროებისა და განსხვავებული სამოქალაქო პოზიციის გამო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსმა, იუსტიციის სახლისა და თბილისის იუსტიციის სახლის დირექტორებთან შეთანხმებით, სამსახურიდან გაათავისუფლა.

ირაკლი ქველაძემ 2012 წლის ნოემბერში ორგანიზება გაუწია იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ღია წერილის მომზადებას მინისტრ თეა წულუკიანთან შეხვედრის მოთხოვნით.

შეხვედრაზე, რომელიც 2012 წლის 8 დეკემბერს შედგა, ირაკლი ქველაძემ მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია თანამშრომლების სოციალური და შრომითი უფლებების დარღვევის, შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შვებულებების აკრძალვის, უქმე დღეებისა და შესვენების პერიოდში დაწესებული გრაფიკის გამოუყენებლობის შესახებ.

ირაკლი ქველაძემ ასევე მინისტრს გადასცა ოფიციალური დოკუმენტაცია იუსტიციის სახლის მაღალი თანამდებობის პირების პრემიებისა და ხელფასების შესახებ და მიუთითა, რომ ამ თვალსაზრისითაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის უთანასწორო დამოკიდებულება არსებობდა.

ირაკლი ქველაძის მხრიდან ხელმძღვანელობის მხილებას იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნინო ჩიჩუას, თბილისის იუსტიციის სახლის აწ უკვე ყოფილ დირექტორ გივი ჭანუყვაძისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელმძღვანელ ლევან სამადაშვილის მხრიდან რეპრესიული ქმედებების განხორციელება მოჰყვა.

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავენ, იუსტიციის სახლის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ჩიჩუამ, თბილისის იუსტიციის სახლის აწ უკვე ყოფილმა დირექტორმა გივი ჭანუყვაძემ და სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელმძღვანელმა ლევან სამადაშვილმა თანამშრომლის საქციელი სუბორდინაციის დარღვევად და „დანის ზურგში ჩარტყმად“ დაახასიათეს. ირაკლი ქველაძის სამუშაო მაგიდასთან დაიწყო თვალთვალი და თანამშრომლების დაკითხვა.

ნინო ჩიჩუას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ირაკლი ქველაძე არაკვალიფიციურ თანამშრომლად შეფასდა და მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს მას ქცევის სტანდარტები დაუწესეს.

2013 წლის 23 იანვარს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა საქმეზე გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც ყველა ის ფაქტი და გარემოება, რომლითაც ნინო ჩიჩუას მოხსენებითი ბარათით ირაკლი ქველაძე დაადანაშაულს, არ დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ ირაკლი ქველაძეს იუსტიციის სახლში მუშაობის პერიოდში, 2010 წლიდან, არც ერთი საყვედური არ მიუღია.

ირაკლი ქველაძემ სისტემაში მუშაობა დაიწყო კონკურსში გამარჯვების შემდეგ, რაც მის კვალიფიციურობაზე მიუთითებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ ირაკლი ქველაძესთან, 2013 წლის 31 იანვარს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ ყველა თანამშრომელს ხელშეკრულება გაუგრძელა, თუმცა, არა ირაკლი ქველაძეს, რომელსაც ამ დრომდე ოფიციალურად სააგენტოდან მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დასაბუთება არ მიუღია.

ამჟამად ირაკლი ქველაძის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო.

ირაკლი ქველაძე მის გათავისუფლებას თავის განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებას, გამოხატვის თავისუფლებასა და იუსტიციის სახლის მაღალი თანამდებობის პირების მხილებას უკავშირებს.

მოსარჩელე ასაბუთებს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას. იგი სააგენტოს ბრძანების გაუქმებასა და თანამდებობაზე აღდგენას მოითხოვს.

ამასთან, ირაკლი ქველაძე სააგენტოსაგან გაცდენილი დღეების ანაზღაურებასა და თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერისგან პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო თავის დროზე შიდა ელექტრონული ქსელით გავრცელებული ცნობების უარყოფასაც მოითხოვს.

ჯენიფერ ლოურენსი ნიკოლას ჰოლტს დაუბრუნდა

22 წლის ჯენიფერ ლოურენსი ყოფილ შეყვარებულს, 23 წლის მსახიობ, ნიკოლას ჰოლტს დაუბრუნდა. ამჟამად ორივე ფილმ „X-Men: Days of Future Past“-ის გადაღებებში მონაწილეობს,

რამაც ისინი ხელმეორედ დაახლოვა. მათი ურთიერთობა გადასაღებ მოედანზე დაიწყო, როდესაც წყვილი „X-Men: First Class“-ში ერთად თამაშობდა. თუმცა, მიმდინარე წლის იანვარში ჯენიფერი და ნიკოლასი დაშორდნენ, რის შემდეგაც ლოურენსს კოლეგა ბრედლი კუპერთან რომანსა და ლეონარდო დიკაპრიოსთან ფლირტს მიაწერდნენ. ინფორმატორმა გამოცემა „Us Weekly“-ის გაანდო, რომ ჯენიფერი და ნიკოლასი ერთმანეთის მეგობრებად დაშორდნენ, ხოლო როდესაც კვლავ შეხვდნენ, გადაწყვიტეს ურთიერთობისთვის კიდევ ერთი შანსი მიეცათ. „მათი გადაღებები აპრილში დაიწყო, რა დროსაც მეგობრები იყვნენ, თუმცა, ერთხელ მათ ერთმანეთს აკოცეს. ამის შემდეგ ახალგაზრდებს ძველი გრძნობები ახალი ძალით დაუბრუნდათ. ჯენიფერი მეგობრებს ეუბნება, რომ კვლავ შეყვარებულია“, – აცხადებს უცნობი წყარო. atb.ge

ნიკოლ კიდმანმა გაეროსგან სპეციალური ჯილდო მიიღო

ნიკოლ კიდმანმა ფონდ „Cinema for Peace“-სგან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონების დახმარებისთვის ჯილდო მიიღო. მსახიობს პრემია გაეროს სააგენტოს ხელმძღვანელთან, ლაქშმი პურისთან ერთად გადასცეს, რომელიც ქალების უფლებებისა და გოგონებისათვის ხელმისაწვდომი განათლებისთვის იბრძვის. „გაეროში ჩემი სამუშაოს დიდი ნაწილი ქალების მიმართ ძალადობის პრობლემას ეძღვნებოდა. მსოფლიოში ყოველი მესამე გოგონა, ან ქალი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი“, – განაცხადა ნიკოლმა. ცოტა ხნის წინ გაეროში მსგავსი მოხსენებით ანჯელინა ჯოლიც წარდგა. საქველმოქმედო ფონდი „Cinema for Peace“ ისეთ ფილმებს უჭერს მხარს, რომლებიც სოციალურ პრობემებზე გახლავთ.

ემი რობერტსი ოჯახური ძალადობის გამო დააპატიმრეს

პოლიცია ახლობლებზე სასტიკი მოპყრობის გამო მხოლოდ მამაკაცებს როდი აპატიმრებს. 15 ივლისს 22 წლის ემი რობერტსი კანადაში დაიკავეს. გოგონას ოჯახურ ძალადობაში ედება ბრალი, მას შემდეგ რაც, მან თავისი შეყვარებული, 26 წლის მსახიობი, ევან პიტერსი სცემა. უცნობია, თუ რა მოხდა სინამდვილეში წყვილს შორის, თუმცა, პრესა წერს, რომ ჩხუბის შემდეგ ევანს ცხვირი ჰქონდა გატეხილი და სხეულზე ნაკბენი ეტყობოდა. პოლიციამ ემი დაიკავა, მაგრამ პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე საათის შემდეგ რობერტსი გაათავისუფლეს. მას ბრალი ოფიციალურად არ წარედგინა. ემი და ევანი ერთმანეთს 2012 წლის ივნისიდან ხვდებიან.

ოპრა უინფრი ლინდსი ლოჰანს 2 მილიონ დოლარს გადაუხდის

რამდენიმე კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ ლინდსი ლოჰანი მაყურებელს რეალითი შოუს შესთავაზებს. გადაცემა 4 თვის განმავლობაში გავა ეთერში. მის ფარგლებში მომზადდება რვა ეპიზოდი, სადაც ლოჰანი საკუთარ პრობლემებზე, კარიერასა და მომავალ გეგმებზე ისაუბრებს. პრესა კი წერს, რომ ამისათვის მსახიობს ოპრა უინფრი 2 მილიონ დოლარს გადაუხდის. მიუხედავად სოლიდური თანხისა, ლოჰანის გარემოცვას ეჭვი აქვს, რომ გოგონა ამ ფულით ყველა ვალის გასტუმრებას ვერ შეძლებს. საუბარია მომავალ სასამართლო დავებზე, ადვოკატის მომსახურების ანაზღაურებაზე, სარეაბილიტაციო ცენტრ „Betty Ford“-ში ცხოვრებასა და სხვა მრავალ გასავალზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლინდსი საზოგადოების ყურადღების მიპყრობას სწორედ თავისი გზააბნეულობით ახერხებს. გარდა ჰონორარისა, შოუს დროს უინფრი ლოჰანს ორ პირად ასისტენტსა და სტილისტს მიუჩენს. atb.ge

კელი ოსბორნი დაინიშნა

28 წლის კელი ოსბორნი და 29 წლის მეთიუ მოსხარტი დაინიშნენ. წყვილი ერთმანეთს ორი წლის წინ კეიტ მოსისა და ჯეიმი ჰინსის ქორწილში შეხვდა. პრესა წერს, რომ საიდუმლო ნიშნობა ჯერ კიდევ შობამდე შედგა, თუმცა, კელიმ და მეთიუმ ეს ამბავი მხოლოდ ახლა გაამხილეს. „აქამდე ასეთი სიახლოვე სხვა მამაკაცთან არასდროს მიგრძვნია. ხალხი ამბობს, რომ ჩვენ ერთმანეთით ვართ შეპყრობილნი, თუმცა, მე და მეთიუს უბრალოდ სულ ერთად ყოფნა გვინდა!“, — აღიარა კელიმ.



იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ყველაფერი კარგად ჩაივლის, რადგან 2009 წელს ოსბორნისა და მოდელ ლიუკ უორპოლის ნიშნობა უიღბლო აღმოჩნდა. მომღერალს საქმრომ ტრანსსექსუალ მოდელ, ელი შნაიდერთან უღალატა. როგორც ჩანს, მეთიუ მისი წინამორბედისგან განსხვავებით, კელიზე ნამდვილად შეყვარებულია. იგი ნიუიორკიდან ლოს ანჟელესში გადმოვიდა და საცოლეს სასურველ ფორმაში ჩასადგომად ვეგეტარიანული სამზარეულოს საშუალებით დაეხმარა, რომელსაც უპირატესობას თავადვე ანიჭებს. atb.ge

სათნოებაში გადაზრდილი კოაბიტაცია

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ქართველო და მისი მოსახლეობა მსგავსი პერსპექტივისგანაც კი, თუმცა ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებები და ქმედებები, ამის ვარაუდის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

უნდა განადგურდეს თუ არა პოლიტიკურად ის ძალა, რომლის ხელდასმითაც ისეთი რამეები ხდებოდა, რისი ნახვის დროსაც, ცივსისხლიანი და ქრონიკულად აღშფოთების რეჟიმში მყოფი უცხოელი დიპლომატები ისე გაოგნდნენ, რომ კომენტარის გაკეთებაც კი ვერ მოახერხეს.

უნდა განადგურდეს თუ არა პოლიტიკურად ის ძალა, რომლის ავანტიურის შედეგადაც ქვეყანამ ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგა, ასეულობით ახალგაზრდა მიწაში ჩააწვინა, ხოლო ათეულობით ათასი ოჯახი დევნილებად აქცია, თვითონ კი, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი გმირი ბიჭების გვამები, თაკარა მზეზე სიცხისგან გაბერილები უპატრონოდ ეყარნენ, სწორედ მაშინ, როდესაც დალის ხეობას (ნაციონალურად ზემო აფხაზეთს) ტყვიის გაუსროლლად ვაბარებდით, ყოფილი ხელისუფლება და მისი პირველი პირი, რუსთაველის გამზირზე ტაშფანდურს მართავდა.

უნდა განადგურდეს თუ არა პოლიტიკურად ის ძალა, რომელმაც საკუთარ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს სასაკლაო მოუწყო და მისგან დახოცილი ხელებშეკრული მოქალაქეების გვამები მაღაზიის თავზე შემოაწყო.

უნდა განადგურდეს თუ არა პოლიტიკურად ის ძალა, რომლის ხერხემალიც ქუჩაში ბიჭებს განუკითხავად ხოცავდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მათ ავაზაკებად აცხადებდა და სულებს შეურაცხყოფდა.

უნდა განადგურდეს თუ არა პოლიტიკურად ის ძალა, რომლის მეთაურსაც სახელმწიფო ბიუჯეტი საკუთარ ჯიბის ფულად მიაჩნდა და მას, უამრავ ტინგიცოებში, კბენია მასაჟისტებში, ლამაზი გოგონებისთვის საჩუქრების ყიდვაში, რიყეზე აშენებულ ორ „ტრუბაში“ და სხვა ამგვარ საეჭვო პროექტებში ხარჯავდა.

დამეთანხმებით ეს უმცირესი ჩამონათვალია წინა ხელისუფლების და მიხეილ სააკაშვილის იმ დანაშაულებებისა, რაც საზოგადოებამ იცის, ხოლო რაც მისთვის ჯერჯერობით ცნობილი არაა, – ცალკე საკითხია.

ამასთან, ნებისმიერი ერთი ამ დანაშაულთაგანი სავსებით საკმარისი იქნებოდა მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნისთვის, რომ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები და მათ შორის პირველი პირიც, ყოველგვარი შესავლის გარეშე საბრალდებო სკამზე დაესვათ.

სავსებით მართალი იქნებოდა ბატონი ალასანია როცა განაცხადა, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ მტერი არ არის, იმ შემთხვევაში, თუ საქმე პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ექნებოდა, მაგრამ როცა საქმე გაქვს დამნაშავე რეჟიმთან, რომლიც ყველაზე მცირე დანაშაულიც კი მინიმუმ 10 წლიან სასჯელს ითვალისწინებს, რბილად რომ ვთქვათ, ოდნავ უფრო მოზომილი განცხადებების გაკეთება მართებს ნებისმიერს.

ისტორიას ჯერჯერობით არ ახსოვს მაგალითი, ხალხის ძალას რომელიმე ხელისუფალი აღდგომოდეს, რაოდენ ტირანული მიდრეკილებებისაც არ უნდა ყოფილიყო ის.

ხალხის ძალას ვერც ირაკლი ალასანია და ახალი ხელისუფლება შეაჩერებდა, რომ არა ისევ და ისევ ერთი ადამიანის ფაქტორი. ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილია, რომლის მიმართაც ხალხს ნდობაც აქვს და ავტორიტარული რეჟიმის უსისხლოდ მოშორების გამო მადლიერების გრძნობაც. თუმცა სწორედ ისეთი პერსონები და ისეთი ტიპის განცხადებები, როგორზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ნდობას და მადლიერების გრძნობას ნელ-ნელა ანგრევს და გამორიცხული არ არის, რომ ხალხმა თავის რისხვას, არათუ მისი გამამწარებელი წინა ხელისუფლება, არამედ ახალი ხელისუფლებიდან ნებისმიერი მისი დამცველიც შეიძლება მიაყოლოს.

ეს დრო კი, არც ისე შორსაა, როგორც ეს სავარაუდოდ ბატონ ალასანიას აქვს წარმოდგენილი.

სააგენტო „ნიუსპრესი“
ალეკო ჩუბინიძე

TV პროგრამა

ოთხშაბათი
22 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **17.00** "გურმანია" **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ "**ნიკიტა**" **23.00** "საფეხურთო დღიური" **23.30** მხ/ფ "**მე ვარ ლეონდა**" **01.20** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ბრიუსელი" **09.00** მხ/ფ "**ველური ველური ველსი**" (უ.სმითი) **11.10** მხ/ფ "**მის კონგენიალურობა**" (ს.ბალოკი) **13.00** დ/ფ "ეგვიპტე" **6** ნან. **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" I ნან. **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) **23.00** მხ/ფ. "**რემბო – 4**" (ს.სტალონე) **01.15** მხ/ფ. "**უნივერსალური აბენბი**"

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ქართ. მხ/ფ "**ნაწილები**" (პრემიერა) **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ "**მე მოვედი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - "**ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს**" **16.55** კონცერტი - იყო ხილვის სიხარული (გოგი დოლიძე) **18.10** ტელეზღაპარი **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.20** მაგთიფანი (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.00** მალვიძარა(კოლაჟი) **11.00, 15.30** ფარული კამერა **12.30, 22.20, 3.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები" **16.00 სერიალი "ბპორმი"** **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე"**

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05** BBC სერიალი დიდი იმედები **3** გამ **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** სტერეოტიპი გამ **16.10** მატრიცა **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **20.00** სერიალი-ტკბილი შხამი **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება
სააგენტო „ინფოზავრის“
ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6556	ევრო — 2,1715
ინგლისური სტერლინგი — 2,5264	100 რუსული რუბლი — 5,1053

ამინდის პროგნოზი 22 ივლისისთვის

როგორია გოგი გვახარიას „ცრემლიანი სათვალე“?

ეკა ირემაშვილი

მწერლის სახლის ეზოში ხელოვნებათმცოდნის, ჟურნალისტისა და კინოდოკუმენტალისტის, გოგი გვახარიას წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. მისი მოდერატორები მწერალი ლაშა ბუღაძე და ფილოლოგი და პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი იყვნენ.

„ცრემლიანი სათვალე“ – ასე ეწოდება გამოცემას, რომელიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დაბეჭდა. კრებული 15.000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და მისი ყიდვა უკვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

წიგნის პრეზენტაციაზე ავტორმა აუდიტორიის შეკითხვებს უპასუხა. როგორც გოგი გვახარიამ აღნიშნა, წიგნი იმ თაობის ერთგვარი ბიოგრაფიაა, რომელმაც სტალინის შემდგომი პერიოდიდან დღემდე რთული ცხოვრება გამოიარა. მისივე თქმით, წიგნში მისი თვალით დანახული საქართველოს უახლესი ისტორიაა წარმოდგენილი. „ცრემლიანი სათვალე“ ჟურნალში „ცხელი შოკოლადი“ წლების განმავლობაში იბეჭდებოდა და მკითხველის დიდ ინტერესს იწვევდა. წიგნში თავმოყრილი სტატიები ცალკე თავებადაა დაყოფილი, რომელიც თითოეულ წელს ეხება. ავტობიოგრაფიულ წიგნში 1972-2004 წლებია ასახული.

„ამ ორმა ხატმა – ეკრანმა და მაყურებელმა – მთელი ჩემი ცხოვრების წესზე, „პირად ისტორიაზე“, ე. ი. ბიოგრაფიაზე იმოქმედა... ჩემი სათვალე ხშირად ილაქებოდა ხოლმე ცრემლით – ხან კინოგმირები მატირებდნენ, ხანაც ცოცხალი ადამიანები – რეალური ცხოვრება, რომელიც ჩემს თაობას მძიმე და მართლაც სატირალი გვქონდა.

ამ ცრემლის ისტორია თაობის ისტორიაა – იმ თაობისა, რომელიც ხრუშჩოვის გადაყენებისა და „ოტტეპელის“ დასრულების შემდეგ მივიდა სკოლაში, ბრეჟნევის ეპოქაში ისწავლა და „პერე სტროიკის“ ხანაში დაიწყო მუშაობა... მერე კი დაიშალა, დანაწევრდა – სამოქალაქო ომით, აფხაზეთით, ქვეყნიდან გაქცევით, კულტურის დანგრევითა და კულტურის ნაცვლად ფსევდოკულტურით, ნარცისების ბაღნარის აშენებით.

კინოს მოყვარულები ცნობილი „ვუაიერისტები“ რომ არიან, ამას უკვე თავად აღიარებენ. ჩვენ ყურება უფრო გვიყვარს, ვიდრე ცხოვრება; დაკვირვება, ცქერა და თვალთვალი მთელ ქვეყანას გვირჩევნია; ჩვენ თითქოს არა ვართ ამქვეყანაზე, არ ვმონაწილეობთ ისტორიულ პროცესებში. მხოლოდ ვაკვირდებით... და ვითომ რატომ არ უნდა მოინდომოს კაცმა, დაწეროს ერთი წიგნი მაინც იმაზე, რაც ნახა და რასაც დააკვირდა?!“ – წერია წიგნის ანოტაციაში.

– ამ წიგნის გამოქვეყნების გადაწყვეტილებაში ბაკურ სულაკაურმა დიდი წვლილი შეიტანა. თავდაპირველად არ მქონდა გადაწყვეტილი წერილების ერთ წიგნად შეკვრა. 400 გვერდიანი წიგნის გარეკანი სპეციალურად არმენოფობიის საწინააღმდეგოდ, სომხეთის დროშის ფერებშია გადაწყვეტილი, – განმარტა გოგი გვახარიამ.

პატრიარქმა მახათას მთაზე ტაძრის მშენებლები დალოცა

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მახათას მთაზე ისტორიული ტაძრის მშენებლობა დაათვალიერა და ამ საქმის მონაწილეები დალოცა. მისმა უწმინდესობამ კომპანია „ბი კეი კაპიტალ“-ის დამფუძნებლის შოთა ბერიკაშვილისა და ფონდ „ივერიისას“ დამფუძნებლის პაატა ბურჭულაძისგან მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოისმინა, დეტალებსაც გაეცნო და მშენებლებიც დალოცა.

საქართველოს პატრიარქმა ტაძრის საკურთხეველი დაათვალიერა და ტაძრის შუაგულში სანთელიც დაანთო. მახათას მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მშენებარე ტაძრის ტერიტორიის დატოვებამდე იქ შეკრებილმა ჟურნალისტებმა ილია მეორეს რუსეთთან დაკავშირებით დაგეგმილ ვიზიტზეც დაუსვეს კითხვა, თუმცა მისმა უწმინდესობამ განაცხადა, რომ ამ ადგილას ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ სურს და რომ აქ ამის ადგილი არ არის.

– აქ დღეს ჩვენ ლოცვისთვის შევიკრიბეთ, – ბრძანა მისმა უწმინდესობამ.

ილია მეორემ დალოცა ტაძრის მშენებლები, პაატა ბურჭულაძე, მახათას მთაზე შეკრებილი მრევლი და მთელი საქართველო, რის შემდეგაც ტერიტორია დატოვა.

„ბი კეი კაპიტალ“-ის დამფუძნებლის შოთა ბერიკაშვილის თქმით, ამჟამად ტაძრის მშენებლობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს, რომელიც ერთი თვეა დაიწყო. ტაძრის მშენებლობის დასრულება კი დაახლოებით 20-24 თვეშია დაგეგმილი.

მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის საძირკველი 2011 წლის 12 მაისს ეკურთხა, შარშან აპრილში ტაძრის საძირკველი გაიჭრა, ხოლო 7 მაისს კი მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყო. ტაძრის მშენებლობა 2.700 კვადრატულ მეტრზე მიმდინარეობს. ტაძრის არქიტექტორის გადაწყვეტილებით, მისი სიგრძე იქნება 60 მეტრი, სიგანე – 32 მეტრი, სიმაღლე ჯვრის ძირამდე კი – 51 მეტრი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთს უახლოეს დღეებში ეწვევა. მისი ვიზიტი რუსეთის ნათლისღების 1025 წლისთავთან არის დაკავშირებული. ამ თარიღთან დაკავშირებით, საიუბილეო ღონისძიებები მოსკოვში, კიევსა და მინსკშია დაგეგმილი. ილია მეორე 23-30 ივლისის ფარგლებში სამივე ქალაქში ჩაბრძანდება. იგეგმება საუბარი აფხაზეთის თემაზე და ქართველი მეფეების ნეშტების გადმოსვენებაზე. დელეგაციის წევრები შეხვდებიან რუსეთის პატრიარქს. რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია. ამ ვიზიტის დროს დაზუსტდება ასტრახანიდან ქართველი მეფეების ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ის გადმოსვენების საკითხიც.

რა აშენდება „მხატვრის სახლის“ ადგილზე?

ეკა ირემაშვილი

ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„რუსთაველის გამზირზე ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე ახალი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ პროექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მშენებლობა, სრულიად მიუღებელია მოცემული ადგილისთვის. იგი შეუსაბამობაშია საქართველოს დედაქალაქის მთავარი არტერიის – რუსთაველის გამზირის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული გარემოსთვის, როგორც თავისი მასშტაბით, ასევე სივრცით-გეგმარებითი და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით. პროექტი არ ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ისეთი მაღალხარისხოვანი ძეგლების სიახლოვეს, როგორიც არის ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, კინოთეატრი „რუსთაველი“, ეროვნული გალერეა, ალექსანდრეს ბაღი, გუდიაშვილის ქუჩის განაშე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 22 ივლისისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. ** კურო** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** – თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემა არ გაქვთ. **კირჩხიბი** – ცხოვრება გეცვლებათ, ბედი გწყალობთ. **ლომი** – მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც იმარჯვებთ. **ქალწული** – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **სასწორი** – თავზე მუშაობა დაგჭირდებათ, წარმატება არ დააყოვნებს. **ღრიანკალი** – გადაღლილი ხართ, ცოტა დაისვენეთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც მოდის, მისი ნახვა გიხარიათ. **თხის რქა** – ეს დღე თქვენს განწყობას შეეფერება. **მერწყული** – არეული დღეა, მაგრამ გზას მაინც გაიგნებთ. **თევზები** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, საქმე სარფიანია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

„დინამო“ ფარერებზე მიემგზავრება, გორელებს დანაკლისი აქვთ

23 ივლისს „დინამო“ თბილისი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრას ტორსჰავნში „სტრეიმურის“ წინააღმდეგ გამართავს. გუნდის მთავარ მწვრთნელ დუშან უჰრინის გადაწყვეტილებით, დღეს ფარერის კუნძულებზე შემდეგი 18 ფეხბურთელი გაემგზავრება.

მეკარეები: გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა

მცველები: გივი კვარაცხელია, დარკო გლიშიჩი, გიორგი სეთურიძე, უსტარიცი, დავით კვირკველია, დავით ხურცილავა, გიორგი გველესიანი

ნახევარმცველები: ლევან ხმალაძე, ირაკლი ლექვთაძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი პაპავა, ელგუჯა გრიგალაშვილი

თავდამსხმელები: ჩისკო, ჯაბა დვალი, დავით ხოჭოლავა, პატრიკ ვუო.

25 ივლისს კი თავის მატჩს გამართავს ევროპის ლიგაზე მოასპარეზე გორის „დილა“. პირველი მატჩისგან განსხვავებით, გორელთა შემადგენლობაში მცირე დანაკლისია. ოლბორგში საეჭვოა ირაკლი მოდებაძის თამაში, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს. დანიაში ვერ დაეხმარება გუნდს ალექსანდრე კვახაძე, რომელმაც ტრავმის გამო თბილისური მატჩიც გამოტოვა.

მ. ჟ

ჯოსვოხდი

თარაზულად: 1. ონორე დე ...; 3. ევროპის ებრაელთა ენა; 8. ძველბერძნული სიმებიანი საკრავი; 9. ... ღოღობერიძე; 14. მოხულიგნო ახალგაზრდა; 15. ყველასთვის სავალდებულო წესი; 17. კარ-ფანჯრის საკეტი; 20. ესპანელთა გრძელი, დასაკეცი დანა; 22. გადამდნარი ღორის ქონი; 23. რისამე მომცრო ნიმუში; 25. საყანწე მასალა; 26. აღმოსავლეთი; 27. შლამის თევზი; 28. ვინც უწინ მსახურობდა.

შვეულად: 1. კურკოვანი ხილი; 2. სოფელი რაჭაში; 3. ინდიოს შემცველი მცენარეული ნივთიერება; 4. იქნება, ეგებ (ნაწილაკი); 5. იტალიური ყოფითი ვოკალური მუსიკის ჟანრი (XV-XVI ს.ს.); 6. კედლის ან ჭერის ორნამენტიანი ნახატი; 7. სამხედრო ფორმის ქუდი საფრანგეთში; 10. იგივეა, რაც საწნახელი; 11. მთის ბალახი მოყვითალო ყვავილით; 12. ვენესუელის დედაქალაქი; 13. ლარნაკი; 16. უდაბნოს ძაღლი; 18. უპირატესი მდგომარეობა, პირველობა; 19. ქაღალდის ფულის გამოშვება; 21. მოსახლეობის ფართო მასა; 24. მუხლუხა, ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



ნინი ბადურაშვილს გოგონა შეეძინა

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნინი ბადურაშვილი დედა გახდა. მას პირველი ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ბავშვობის მეგობრის პატივსაცემად ელენე დაარქვა. ახალშობილს მომღერალმა ეს სახელი ელდარ შენგელაიას ქალიშვილის ტრაგიკულად დაღუპული ელენე შენგელაიას ხსოვნის უკვდავსაყოფად შეურჩია.

მიუხედავად ნინის და მის მეუღლეს ირაკლი კუტალაძეს შორის აგორებული სკანდალებისა, მომღერალმა შეძლო და შეინარჩუნა სიმშვიდე, არ აყვა საზოგადოებას, არ დააკმაყოფილა მათი ინტერესი და მეუღლის თემაზე არ ილაპარაკა. სამაგიეროდ, მისმა ნათესავებმა არ დააყოვნეს და ნინის ქმრის საქციელს არაკაცური უწოდეს.

მომღერალს სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ უკვე ულოცავენ პატარა ქალიშვილის შეძენას მისი მეგობრები, კოლეგები მომღერალი ქრისტინე იმედაძე პირველი იყო, ვინც ეს ამბავი „ფეისბუქში“ გაავრცელა. მომღერლის დედობას კი ქეთა თოფურია ასე გამოეხმაურა: „ნინი უკვე შვილიანია, გილოცავ...“ მილოცვებს „ფეისბუქის“ საშუალებით გამოეხმაურა თავად ნინი ბადურაშვილი და ყველას მადლობა გადაუხადა.

ჯერჯერობით უცნობია რა გვარი იქნება პატარა ელენე – ბადურაშვილი თუ კუტალაძე. ნინი ბადურაშვილის მილოცვების პარალელურად, „ფეისბუქში“ მილოცვები მრავლად მიიღო ირაკლი კუტალაძემაც, თუმცა არც სოციალურ ქსელში და არც მას მედიის წარმომადგენლებთან ირაკლი კუტალაძეს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.